გაზეთი ზევრიას, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

№112 (868) 28 – 29 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

# საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი



საპრეზიდენტო არჩევნები

გვ. 2–5

დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა, ნინო ბურჯანაძე ხმების დასაცავად ემზადება. რა შედეგებს დადებს ცენტრალური საარჩევნო კომისია

## სოჭი-2014 — პუტინის გარემოცვის მიერ მოპარული მილიარდები და რადიაქტიული დაბინძურების 2500-ზე მეტი კერა




გვ. 8

## სამართალი

## ადმინისტრაციული დავების უმეტესობა ფიზიკური პირების სასარგებლოდ დასრულდა

სასამართლო სტატისტიკა

გვ. 6



გვ. 12

## საქართველოში წამლის ხარისხის დადგენა შეუძლებელია!

## გოჩა ძასოხოვი

„საქართველოს ხალხთა ასამბლეა გამოდის ინიციატივით, ოლიმპიურმა ცეცხლმა საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გაიაროს!"



გვ. 9

## რატომ მიიჩნევს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად?

მონობის წინააღმდეგ მებრძოლი ფონდის მიერ შედგენილი ინდექსის თანახმად, საქართველოში 16 227 ადამიანია მონურ მდგომარეობაში

გვ. 12

# მეორე ტური არ იქნება — გიორგი მარგველაშვილი საქართველოს მეოთხე პრეზიდენტია




ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**საქართველოს პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლა დასრულდა. წინასწარი მონაცემებით, ასეთია „უპრეცედენტოდ სამართლიან და მშვიდ არჩევნებად“ უკვე მონათლული საარჩევნო მარათონის შედეგები — საქართველოს მოქალაქეებმა ქვეყნის რიგით მეოთხე პრეზიდენტად, „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი აირჩიეს. საბოლოო, ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე, ყველა ეგზიტპოლის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებში, გიორგი მარგველაშვილი უპირობოდ ლიდერობს და მას ამომრჩეველთა 65%-ზე მეტი აძლევს ხმას.**

## ეგზიტპოლები: მარგველაშვილმა პირველივე ტურში გაიმარჯვა

საქართველოს მასშტაბით, ყველა საარჩევნო უბანი 20.00 დაიხურა და რამდენიმე ეგზიტპოლის შედეგი გამოქვეყნდა. „რუსთავი 2“-ის შეკვეთით, ორგანიზაცია GfK-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა ხმათა 66.1% მიიღო და შესაბამისად, პირველივე ტურში გაიმარჯვა. დავით ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდა 20,1%-ით, მესამეზე — 7,4%-ით ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი — 2,9%-ით. ეს გახლდათ 20:00 საათის მონაცემები. ორგანიზაციის წარმომადგენლების მტკიცებით, შეიძლება დავუშვათ მხოლოდ 2%-იანი ცდომილება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაჩვენებლები დიდად, არ შეიცვლება.

ACT ჯგუფს ეგზიტპოლების ჩატარება ტელეკომპანია „იმედმა“ დაუკვეთა. მისი შედეგები ასეთია: გიორგი მარგველაშვილი 68%-ით ლიდერობს, დავით ბაქრაძეს 17,1% აქვს, ნინო ბურჯანაძეს კი — ამომრჩეველთა ხმების 9,9%. რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, ეგზიტპოლების შედეგები ასე გადანაწილდა: ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ გიორგი თარგამაძეს მხარი 1%-მა დაუჭირა, ლეიბორისტული პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილს კი ხმა ამომრჩეველთა 2,2 %-მა მისცა.

ორგანიზაცია SOCIS-მა კი, ეგზიტპოლი საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ დაკვეთით შემოგვთავაზა. მისი მონაცემები ასეთია: მარგველაშვილი — 65%; ბაქრაძე — 16%; ბურჯანაძე — 9%.

## ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა

ცესკო-ს სპიკერი ეკატერინე აზარაშვილი საზოგადოებას ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ ინფორმაციას ყოველ 2 საათში აწვდიდა. საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებსგარეთ 73 საარჩევნო ოლქში 3 537 719 ამომრჩევლიდან არჩევანი მხოლოდ 1 648 662-მა გააკეთა.

27 ოქტომბრის 08:00 საათიდან ყველა საარჩევნო უბანი გაიხსნა. 10 საათისთვის, არჩევნებში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ამომრჩეველთა 6,8%-ს (240 732 ამომრჩეველი). შუადღეს ამომრჩეველი გააქტიურდა — 17,15% (606 710 ამომრჩეველი), რაც წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია — შარშან, 1 ოქტომბერს, 12 საათისთვის, ამომრჩეველთა აქტივობა 25%-ზე მეტი იყო. 15.00 საათზე ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელმა 32,05%-მდე აიწია (1,133,753 ამომრჩეველი). ყველაზე მეტი ამომრჩეველი საარჩევნო ურნებთან რაჭა-ლეჩხუმში (46,7 %), გურიასა (39,9 %) და მცხეთა-მთიანეთში (34,3%) მივიდა. ყველაზე დაბალი აქტივობით ქვემო ქართლის საარჩევნო ოლქი გამოირჩეოდა. 17.00 საათზე, ამომრჩეველთა აქტივობა 39%-მდე გაიზარდა, რაც 1 ოქტომბრის იმავე პერიოდთან შედარებით, 14%-ით დაბალი მაჩვენებელია.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობამ 46.6% შეადგინა. ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა საჩხერეში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში.

## დარღვევები

ცესკო-ს სპიკერის ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით, არჩევნები მშვიდად წარიმართა, „არ ყოფილა არსებითი ხასიათის დარღვევები და პროცედურული ხარვეზების უმეტესობა ადგილზე აღმოიფხვრა“.

საარჩევნო პროცედურის დაწყებისთანავე გარკვეული პრობლემა შექმნა იმან, რომ ცესკო მესტიის ორ უბანთან დაკავშირებას ვერ ახერხებდა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ორივე ამ უბანზე არჩევნები მშვიდად მიმდინარეობდა. პირველი დარღვევების შესახებ ეკატერინე აზარაშვილმა ჟურნალისტებს 12-საათიან საგანგებო ბრიფინგზე აუწყა. მისი თქმით, კრწანისის 5 უბანზე იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები, კერძოდ კი, ერთი და იგივე საარჩევნო სუბიექტის, კანონით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი წარმომადგენელი; კრწანისის 12 უბანზე სამმა ადამიანმა პირადობის მოწმობა წარადგინა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის გარეშე და კომისიამ მათ არ მიაღებინა არჩევნებში მონაწილეობა; ახალციხის 35 უბანთან მოხდა შელაპარაკება, თუმცა უბნის შიგნით ინციდენტს ადგილი არ ჰქონია; საბურთალოს 63 უბანზე ლუქებთან დაკავშირებით იყო კითხვები, თუმცა საბოლოოდ, ცესკო-მ გაარკვია, რომ საარჩევნო ყუთზე ლუქი კანონის შესაბამისად აღმოჩნდა გაკეთებული; დარღვევა დაფიქსირდა ზესტაფონის 9 საარჩევნო უბანზე, სადაც ერთ-ერთმა ამომრჩეველმა საარჩევნო ყუთი დააზიანა და ამის გამო კენჭისყრის პროცესი შეჩერდა.

15.00 საათზე ცესკო-ში წერილობითი განცხადება შეიტანა დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს წარმომადგენელმა, რომელიც „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს დარღვევაში ადანაშაულებდა — საგანელიძის საინფორმაციო ბრიფინგის ფონზე დაფიქსირდა პრეზიდენტობის კანდიდატის სააგიტაციო ბანერიო. ბურჯანაძის თანამებრძოლი ცესკო-ს ამ ფაქტზე სათანადო რეაგირებას სთხოვდა, თუმცა ცესკო-მ საგანელიძის მიერ საარჩევნო კოდექსის დარღვევის ფაქტი არ დაადასტურა.

დარღვევად არ ჩაითვალა არც ბიძინა ივანიშვილისა და თეა წულუკიანის მიერ, სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემის შემდეგ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები — მათ არ დამალეს, რომ არჩევანი გიორგი მარგველაშვილის სასარგებლოდ გააკეთეს. ოპოზიციური პარტიების ზოგმა წარმომადგენელმა ესეც საარჩევნო უბანზე, არჩევნების დროს აგიტაციად აღიქვა და გაასაჩივრა. ცესკო-ს პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა კი განმარტა, რომ აღნიშნული ფაქტი აგიტაციად არ ითვლება.

## არჩევნები საზღვრებსგარეთ

საქართველოს საზღვრებსგარეთ 52 საარჩევნო უბანი გაიხსნა და არჩევნებმა სხვა ქვეყნებშიც მშვიდ გარემოში ჩაიარა. თუმცა გარკვეული პროცედურული დარღვევები იქაც დაფიქსირდა. მაგალითად, ლატვიაში — რიგაში ერთ-ერთი კომისიის წევრი დაგვიანებით მივიდა უბანზე, რის გამოც კენჭისყრის პროცესი დაგვიანებით დაიწყო. ყველაზე მეტი საარჩევნო უბანი, საქართველოს ემიგრანტების დიდი რაოდენობის გამო, ათენში გაიხსნა. საბერძნეთის დედაქალაქში არჩევნებმა ამომრჩევლის უკმაყოფილების ფონზე ჩაიარა — მოქალაქეებმა, რომლებიც მოხსნილნი იყვნენ რეგისტრაციიდან, არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს, რამაც მათი პროტესტი გამოიწვია.

საზღვარგარეთ გახსნილი უბნებიდან ორ უბანზე არჩევნები რამდენიმე დღით ადრე ჩატარდა — ავღანეთში მყოფმა 1500-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ საკუთარი არჩევანი 20 ოქტომბერს გააკეთა. ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა ორ საარჩევნო უბანზე — „ლეზერნიკსა“ და „ერედვზე“ მისცეს ხმა. ცესკო-ს მონაცემებით, „ერედვზე“ ჩატარებული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ გაიმარჯვა. ხმების დათვლის შედეგების მიხედვით, აღნიშნულ უბანზე ბაქრაძემ 318 ხმა მოიპოვა, გიორგი მარგველაშვილმა — 285, შალვა ნათელაშვილმა — 25, ნინო ბურჯანაძემ — 14, დანარჩენმა კანდიდატებმა კიდევ უფრო ნაკლები ხმები მიიღეს.

დღის განმავლობაში კიდევ არაერთი დარღვევა გახდა ცნობილი, თუმცა ცესკო-ში აცხადებენ, რომ მათ საზოგადოებას მხოლოდ გადამოწმებული ფაქტები მიაწოდეს. კომისიაში ჯერ მხოლოდ 3 ოფიციალური საჩივარია შესული. მათი რაოდენობა ალბათ გაიზრდება. არჩევნების საბოლოო შედეგებიც გამოქვეყნდება, მაგრამ როგორც პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების უმრავლესობა აცხადებს, სერიოზული ცვლილებები ეგზიტპოლების მიერ გამოქვეყნებულ შედეგებში არ მოხდება. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ „ქართული ოცნება“ და გიორგი მარგველაშვილი, არჩევნებში გამარჯვებას უკვე ზეიმობენ.



# „ეჭვი აღარავის ეპარება, რომ გიორგი მარგველაშვილმა ღირსეული გამარჯვება მოიპოვა!“

რუსუდან შელია
557-100-768

**27 ოქტომბერს, სანამ ქვეყანა მომავალ პრეზიდენტს ირჩევდა, პოლიტიკური პარტიები მთელი დღის განმავლობაში დარღვევებსა და გაყალბებულ შედეგებზე საუბრობდნენ. არადა, საერთაშორისო დამკვირვებლებისა თუ ქართველი ექსპერტების შეფასებით, ასეთი მშვიდი არჩევნები საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა.**



ივანიშვილი ამომრჩეველს მადლობას უხდის, ბურჯანაძე და ნათელაშვილი საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან




ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, ალექსანდრე კვიტაშვილის ინფორმაციით, დმანისში ე.წ. კარუსელის ფაქტი დაფიქსირდა, რაც პარტიის აქტივისტებმა ვიდეოფირზეც აღბეჭდეს. სამგორის №82 უბანზე რამდენიმე ამომრჩეველი ხმის მიცემას მარკირების გარეშე ცდილობდა. პრობლემა დაფიქსირდა მარნეულშიც, სადაც ბიულეტენი ამომრჩეველს წინასწარ შემოხაზული დახვდა. ვაკის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში კი ყუთი დალუქული არ იყო. დარღვევებთან დაკავშირებით პარტიის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გამართა ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა გიორგი ვაშაძემ, რომელიც ფონიჭალაში მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა და იმ ადამიანების ვინაობაც დაასახელა, რომლებიც დამკვირვებლებს ფიზიკურად გაუსწორდნენ: **„კრწანისის 26-ე საარჩევნო უბანში, ზემო ფონიჭალაში, დამკვირვებელ დაჩი ვარძელაშვილს ფიზიკურად გაუსწორდა „ქართული ოცნების“ ე.წ. ზონდერჯგუფი, რომელსაც ზაზა ოქიაშვილი ხელმძღვანელობდა. გორის რაიონის სოფელ კირბალში ლერი აბალაკი და მარიამ დოთიაშვილი „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის სანაცვლოდ, ამომრჩევლებს 200-ლარიან დახმარებას სთავაზობდნენ, ხოლო როცა „ქართულმა ოცნებამ“ აღმოაჩინა, რომ რეგიონებში, უბნებზე ამომრჩევლის დაბალი აქტივობა დაფიქსირდა, „კარუსელების“ მობილიზება მასობრივად დაიწყო“.**

საარჩევნო ყუთში ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრისა და წინასწარ შემოხაზული ბილეთების ფაქტებზე შოთა მალაშხიამ ისაუბრა და აღნიშნა, რომ პარტიის წარმომადგენლები რამდენიმე საარჩევნო უბანზე არ შეუშვეს. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები, გამგებლის მძღოლი, გამწვანების სამსახურის უფროსის მოადგილის ძმისშვილი და ინფრასტრუქტურის სამსახურის ახლადდანიშნული წარმომადგენლები კი საარჩევნო „კარუსელის“ მცდელობაში დაადანაშაულა.

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ პრემიერ-მინისტრს კანონდარღვევაში ადანაშაულებს, რადგან როგორც თამარ ცინცაბაძე აცხადებს, ივანიშვილმა საარჩევნო უბანზე საკუთარი არჩევანი საჯაროდ დააფიქსირა. ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ირაკლი ბათიაშვილმა კი „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის არსებულ გარიგებაზე ისაუბრა: **„ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა არჩევნების გაყალბების მიზნით, კოორდინირებულად მოქმედებენ. სამწუხაროდ, გაყალბების კონკრეტული ფაქტებიც დაფიქსირდა მარნეულში, სადაც ბიულეტენები ყუთებში მასობრივად ჩაიყარა. ასევე დიდუბის №21 უბანზე წინასწარ შევსებული ბიულეტენები აღმოვაჩინეთ“.**

ქრისტიან-დემოკრატებმა ჩოხატაურის №8 უბანზე საარჩევნო სიაში „მკვდარი სულები“ აღმოაჩინეს. ლევან ვეფხვაძემ ყურადღება ამომრჩეველთა დაბალ აქტივობაზეც გაამახვილა და განაცხადა, რომ **„27 ოქტომბერს, 12:00 საათისთვის უბნებზე ამომრჩეველთა 10% მივიდა, შარშან კი იმავე პერიოდში აქტივობა 37%–იანი იყო. ამასობაში, დიდუბის №26 საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს ბიულეტენზე ხელი მოწერილი დახვდა – ვიღაცამ ხმა მის ნაცვლად მისცა“.**

სამართლიანი საქართველო დავით ბაქრაძისა და ნინო ბურჯანაძის აქტივისტებს ამომრჩევლის მოსყიდვაში სდებს ბრალს. სერგო ჯავახიძის შტაბის უფროსის თამარ ჯულელის განცხადებით, გურჯაანში მათ ადგილობრივ მოსახლეობას 200 ლარი მხარდაჭერის სანაცვლოდ შესთავაზეს: **„როცა ამ ფაქტის გადამოწმება ვცადეთ, გურჯაანის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უბანზე შესვლაზე უარი განაცხადა. ჩვენი ინფორმაციით, ქუთაისის 40-ე უბანზე რამდენიმე ამომრჩეველმა საპრეზიდენტო კანდიდატს ხმა მარკირების გარეშე მისცა. ტყიბულიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ ოჯახში გადასატანი ყუთის მიტანის დროს, მოქალაქეებს წინასწარ ეკითხებოდნენ, ვის მისცემდნენ ხმას“.**

კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ საპრეზიდენტო არჩევნებს სამაგალითო უწოდა და განმარტა, რომ საქართველოს მასშტაბით არც ერთ უბანზე მნიშვნელოვანი დარღვევა არ დაფიქსირებულა: **„უცხოეთში გახსნილ 50 საარჩევნო უბანში საზღვარგარეთ მყოფი ქართველების უპრეცედენტოდ მაღალი აქტივობა დაფიქსირდა. დილის 10 საათისთვის უბნებზე 250 ათასზე მეტი ამომრჩეველი მივიდა“.** სხვადასხვა სადამკვირვებლო მისიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პარტიების მიერ გავრცელებული ინფორმაციები დარღვევებთან დაკავშირებით გადაჭარბებულია.

20 საათისთვის, როცა ქვეყნის მასშტაბით, ყველა საარჩევნო უბანი დაიხურა, ეგზიტპოლების წინასწარი შედეგები გავრცელდა, რომლის მიხედვითაც გიორგი მარგველაშვილმა ხმათა 66,7%, დავით ბაქრაძემ 20,2%, ნინო ბურჯანაძემ 7,5%, შალვა ნათელაშვილმა 2,1%, ხოლო გიორგი თარგამაძემ 1,1% მიიღო. ეგზიტპოლების მაქსიმალური ცდომილება მხოლოდ 2-3%-ია. წინასწარი შედეგების გამოცხადებისთანავე, დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და განაცხადა, რომ ცესკო-ს მიერ ხმების დათვლის შემდეგ არჩევნებში დამარცხებას აღიარებს: **„როგორც ოპოზიციონერი ლიდერი, მზად ვარ, მომავალში, მთავრობასთან მუშაობა გავაგრძელო — ეს ქვეყნის წინსვლას სჭირდება“.** დავით ბაქრაძის განცხადებით, ჩატარებულმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენს.

ამომრჩეველთა ხმების დაცვა დააანონსა წინასწარი შედეგებით მესამე ადგილზე გასულმა ნინო ბურჯანაძემ და განაცხადა, რომ წინასწარი შედეგები არ აინტერესებს: **„მთავარია, დამკვირვებლებმა ყურადღება არ მოადუნონ, რადგან შესაძლოა უბნებზე ბიულეტენების ჩაყრა ან ოქმების გადასწორება მოხდეს“.** მისივე განცხადებით პირველ ტურში გამარჯვებაზე ზეიმი ნაადრევია, რადგან მეორე ტურის ჩატარების მოლოდინი აქვს, სადაც გიორგი მარგველაშვილს დაუპირისპირდება.

სანამ ბურჯანაძე მეორე ტურზე „ოცნებობდა“, ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან შეკრებილ მხარდამჭერებს მიმართა: **„ეჭვი აღარავის ეპარება, რომ გიორგი მარგველაშვილმა ღირსეული გამარჯვება მოიპოვა. მაქვს საბაბი, ქართველ ხალხს მადლობა გადავუხადო, რადგან საზოგადოებამ ჩვენი კანდიდატი აღიარა, შეაფასა და მხარდაჭერაც გამოუცხადა. ქართველ ხალხს ვარწმუნებ — ჩვენს ქვეყანას ბედნიერი მომავალი ელოდება. არჩევნებზე ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ ბრძენია. ახლა ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ბედნიერი მომავალი შევუქმნათ. ბოლო 20-22 წლის განმავლობაში ჩვენ საოცარი განცდა გადავიტანეთ, მაგრამ ყველაფერი ვაჟკაცურად გადავიტანეთ. ქართველები მსოფლიოს დავანახებთ, რომ შემდეგ წელიწადს დავლაგდებით, დავწყნარდებით და ქვეყნის შენებას დავიწყებთ“.**

საპრეზიდენტო არჩევნები შეაფასა მიხეილ სააკაშვილმაც, რომელმაც შედეგის მიუხედავად, ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა: **„ამომრჩეველთა უმრავლესობის აზრს ყველამ პატივი უნდა ვცეთ, საპრეზიდენტო არჩევნები კი შედგა. მესმის, ბევრი ადამიანი იმედგაცრუებულია, თანაც ამ არჩევნებზე მოსახლეობის დაბალი აქტივობა მნიშვნელოვანი სიგნალია, რომ ხალხთან მუდმივი დიალოგის წარმოება აუცილებელია“.**

მხარდაჭერისთვის მოქალაქეებს მადლობა გადაუხადა გიორგი მარგველაშვილმაც და აღნიშნა, რომ ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან გამოდის და თავისუფალი არჩევანის დაფიქსირებას სწავლობს: **„მადლობა თითოეულ მოქალაქეს, რომელსაც საარჩევნო ურნასთან მისვლა არ დაეზარა. ეს მნიშვნელოვანი იყო, რათა საქართველოსთვის არაბუნებრივი 9 წელი დაგვესრულებინა. ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც ჩემთვის დიდი ავტორიტეტია, ეს ერთობა შექმნა და საქართველოს გამარჯვება მოუტანა. მადლობა პოლიტიკურ გუნდსაც — ჩვენი ქვეყნის სიყვარული გვაერთიანებს. რაც მთავარია, ქართველებმა მსოფლიოს ვაჩვენეთ, რომ თავისუფალი ერი ვართ!“**

# რა დარღვევები გამოავლინეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა საპრეზიდენტო არჩევნებზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**27 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს, ქვეყნის მასშტაბით, 60-მდე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია აკვირდებოდა. მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ — საია აქტიურობდა. მათი ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ პროცედურული დარღვევები მაინც გამოვლინდა.**


Mzia Saganelidze (RFE/RL)

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ საპრეზიდენტო არჩევნებს 370 ადგილობრივი დამკვირვებლით გაუწია მონიტორინგი. მისი დამკვირვებლები, ქვეყნის მასშტაბით, 330 საარჩევნო უბანზე იყვნენ გადანაწილებულები. ეკა გიგაურის ინფორმაციით, დღის განმავლობაში, 50-მდე დარღვევა დაფიქსირდა, მათ შორის ბიულეტენების ნაკლებობა.

**„საბურთალოს საარჩევნო ოლქის 49-ე უბანზე, დამკვირვებელი საარჩევნო ოლქში არ შეუშვეს. ქობულეთის საარჩევნო ოლქის 38-ე უბანზე, როდესაც გადასატანი ყუთის წასაღებად წილისყრა ჩატარდა, მხოლოდ ერთი ადამიანი მონაწილეობდა. ბოლნისის საარჩევნო ოლქის 62-ე უბანზე, ბეჭდებს ნაკვეთურები არ გაუკეთეს და ისე დაიწყეს კენჭისყრის პროცედურები, რაც ცალსახად დარღვევაა“,** — განმარტავს ეკა გიგაური და დასძენს, რომ ტენდენციის სახით რამდენიმე სახის დარღვევაა გამოვლენილი: ცესკო, საარჩევნო სუბიექტის წარმდგენ პოლიტიკურ პარტიას (ბლოკს), საპრეზიდენტო არჩევნების სუბიექტებად განიხილავს და შესაბამისად, საპრეზიდენტო კანდიდატს საარჩევნო უბანზე ორი წარმომადგენელი ჰყავს, რაც საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაციაა და ეწინააღმდეგება მე-8 მუხლის მე-15 ნაწილს, რომლის თანახმად, თითოეულ სუბიექტს, თითო წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს.




„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ დარღვევებში შემდეგი ფაქტები მოხვდა: ქობულეთის საარჩევნო ოლქის 38-ე უბანზე, გადასატანი ყუთის წასაღებად, კომისიაში წილისყრით ორის ნაცვლად, მხოლოდ ერთი ადამიანი გამოავლინეს; იგივე დარღვევა დაფიქსირდა გარდაბნის 43-ე უბანზე, სადაც წილისყრით, გადასატანი ყუთის წამღები კომისიის მხოლოდ ერთი წევრი შეირჩა, მეორე წევრი კი თავმჯდომარემ თავად დანიშნა.

ბოლნისის საარჩევნო ოლქის 62-ე უბანზე, ბეჭდებს არ გაუკეთეს ნაკვეთური და ისე დაიწყეს მისი გამოყენება. მოგვიანებით, ბეჭდებს ნაკვეთური გაუკეთდა, მაგრამ სინჯი არ აუღიათ და არც შენიშვნა ან ახსნა-განმარტება დაწერილა; მარნეულის საარჩევნო ოლქის 49-ე უბანზე, თავმჯდომარემ მხოლოდ ერთ ბეჭედს გაუკეთა ნაკვეთური, დანარჩენები კი ნაკვეთურის გარეშე გამოიყენა; თერჯოლის საარჩევნო ოლქის მე-11 უბანზე, კომისიის წევრმა კაბინისგარეთ მისცა ხმა და დემონსტრაციულად შემოხაზა სასურველი კანდიდატი, რაც მის მიერ აგიტაციად მიიჩნევა; მარნეულის 59-ე და ჭიათურის 32-ე უბნებზე, ამომრჩეველთა ნაწილს არ უმოწმებდნენ მარკირებას; ჩხოროწყუს 21-ე უბანზე, დილის 10 საათისთვის, კომისიის წევრებმა ხელი მოაწერეს შემაჯამებელ ოქმს, მაგრამ ხელმოწერილი ოქმი გადამალეს; მცხეთის საარჩევნო ოლქის 33-ე უბანზე ხმის მიცემა ნახევარი საათით შეჩერდა და უბანი დაიკეტა. მიზეზი ის იყო, რომ კომისიის წევრები გადასატან ყუთთან დაკავშირებულ საკითხებს აგვარებდნენ; ბათუმის საარჩევნო ოლქის 51-ე უბანზე, 80-მდე ადამიანმა საკუთარი თავი საარჩევნო სიაში ვერ იპოვა; ვაკის საარჩევნო ოლქში, მე-80 სპეციალურ უბანზე (სასჯელაღსრულების დეპარტამენტი), საარჩევნო ყუთი არ იყო სათანადოდ დალუქული, რის გამოც დამკვირვებლებმა საჩივრები დაწერეს. უბანზე საოლქო კომისიის წევრები მივიდნენ, რომლებმაც ხმის მიცემის პროცედურა დროებით შეაჩერეს.

ინფორმაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ წარმომადგენელმა ირინა ფუტკარაძემ გაავრცელა, რომელიც არჩევნებს კონფლიქტის ზონაში აკვირდებოდა. სამ სოფელში — გუგუთიანთკარში, თამარაშენსა და დიცში, საოკუპაციო ხაზსმიღმა დარჩენილ მოსახლეობას ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ 1200 დამკვირვებელი საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგს საქართველოს ტერიტორიაზე ყველა საარჩევნო ოლქში ახორციელებდა. კენჭისყრის მიმდინარეობის პროცესში, ყველაზე პრობლემურ საკითხად, არასათანადო დოკუმენტაციით ხმის მიცემის ფაქტები და ბათუმში ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემები გამოიკვეთა. ორგანიზაციის დამკვირვებლებმა, არასათანადო დოკუმენტაციით ხმის მიცემის 9 შემთხვევა დააფიქსირეს, მათ შორის 21-ე (ბათუმი), მე-11 (მესტია), მე-5 (ბათუმი), მე-2 (თიანეთი), 22-ე (დუშეთი), 28-ე (სიღნაღი), 120-ე (ქუთაისი), მე-10 (მარტვილი) და მე-4 (მარნეული) საარჩევნო უბნებზე; მარკირება არ გაკეთდა ერთ საარჩევნო უბანზე; მარნეულის 50-ე უბანზე მარკირება ოთხ ამომრჩეველს არ შეუმოწმდა; არაუფლებამოსილი პირების საარჩევნო უბანზე ყოფნის ორი შემთხვევა დაფიქსირდა ახალციხესა და გურჯაანში. ბათუმში, დაახლოებით, 250 ადამიანს ხმის მიცემის უფლება შეეზღუდა, რომლებიც უბნებზე თავდაპირველად გამოკრულ სიებში იყვნენ, არჩევნების დღეს კი სამაგიდო სიებში აღარ აღმოჩნდნენ. გამოვლინდა ვადაგასული პირადობის მოწმობით, მოწმობის ასლით ან მოწმობის გარეშე, მართვის მოწმობით კენჭისყრაში მონაწილეობის ფაქტები.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კენჭისყრას თბილისისა და რეგიონების 36 საარჩევნო ოლქში აკვირდებოდა და პროცედურული სახის დარღვევები რამდენიმე უბანზე დააფიქსირა. საკონტროლო ფურცლის შევსებასთან დაკავშირებით, პრობლემები გამოვლინდა მარტვილის 35-ე და გურჯაანის 28-ე უბნებზე; დიდუბის 26-ე უბანზე, ამომრჩეველმა კენჭისყრაში მონაწილეობა ვერ შეძლო, რადგან მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერა უკვე დაფიქსირებული იყო; ჩოხატაურის ოლქის 31-ე უბანზე პრობლემა შეიქმნა ყუთის სიასთან დაკავშირებით, რადგან გადასატანი ყუთის სიაში შეყვანილი იყო ამომრჩეველი, რომლის იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა; კრწანისის 26-ე უბანზე, ორი სადამკვირვებლო ორგანიზაციის — „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიისა“ და „მომავლის არჩევანის“ დამკვირვებლებს შორის, ფიზიკური დაპირისპირება დაფიქსირდა; ხელვაჩაურის ოლქის მე-4 უბანზე, კომისიის მდივანმა უარი განაცხადა საჩივრის დარეგისტრირებაზე; ხმაური იყო ჩუღურეთის ოლქის 24-ე უბანზე, სადაც მდივანი ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტის საჩივარს იმ არგუმენტით არ არეგისტრირებდა, რომ დარღვევა უბნის გარეთ მოხდა; ჩუღურეთის 23-ე უბანზე, საჩივრის ჩაბარებისას, კომისიამ ცნობა შესაბამისი რეკვიზიტების გარეშე გასცა. ნაძალადევის მე-100 სპეცუბანზე, პირადობის მოწმობის ასლებით ხმა 6-მა ამომრჩეველმა მისცა; ნაძალადევის 77-ე უბანზე კი მართვის მოწმობით ხმის მიცემის მცდელობა დაფიქსირდა.

**„დილის 07.00-დან 08.00 საათამდე, საია-ს დამკვირვებლებს პრობლემები შეექმნათ უბნებში შესვლასთან დაკავშირებით. მთაწმინდის ოლქის მე-40, სამგორის 119-ე და გორის ოლქის 109-ე უბნებზე, საია-ს დამკვირვებლებს, უბანზე შესვლისას, პირადობის მოწმობებს გარეთ ატოვებინებდნენ, ხოლო შიგნით, პირადობის მოწმობის გარეშე აღარ უშვებდნენ. საია-ს დამკვირვებელს პრობლემები შეექმნა დიდუბის 57-ე უბანზეც, რადგან საია-სა და სხვა ორგანიზაციის დამკვირვებლებზე მოწმობა გაცემული იყო ერთი და იგივე კოდით. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა დიდუბის 12-ე და გლდანის 18-ე უბნებზეც“,** — აღნიშნა საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძემ.

27 ოქტომბერს, დღის ბოლოს, საია-ს დამკვირვებლებმა შემდეგი დარღვევები გამოავლინეს: საგარეჯოს ოლქის 46-ე უბანზე, ამომრჩეველი ქართული ოცნების სიმბოლიკიანი მაისურით შევიდა, რაც აგიტაციად ითვლება. დამკვირვებლის მოთხოვნის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარემ მას საარჩევნო უბანი დაატოვებინა; თერჯოლის ოლქის 25-ე უბანზე, კომისიის რეგისტრატორს, წინასწარ 5 ბიულეტენი ჰქონდა გამზადებული, დამკვირვებლის შენიშვნის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარემ დარღვევა აღმოფხვრა; გორის 25-ე უბანზე ხმის მიცემას ცდილობდა ამომრჩეველი, რომელსაც მარკირება უკვე აღენიშნებოდა. საია-ს დამკვირვებლებმა 26 საჩივარი დაწერეს და წიგნში 45 შენიშვნა დააფიქსირეს.



# „სააკაშვილი იყენებდა ბევრ „პოლიტიკურ სიცოცხლეს“, თუმცა ახლა, როგორც ჩანს, GAME OVER“



Twiter-ის მიკრობლოგში გამოქვეყნებულ წერილში თინა კანდელაკი საქართველოში მიმდინარე არჩევნებს ეხმაურება და საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დალაგების შესაძლებლობაზე საუბრობს. წერილში სათაურით „რუსეთი და საქართველო — დაზავების დრო“ კანდელაკი წერს, რომ სააკაშვილის წასვლის შემდეგ ორი სახელმწიფოს დაახლოებისთვის პრინციპული წინააღმდეგობები აღარ არის.

**„მაშ ასე, დღეს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება და ის იმით კი არ არის მნიშვნელოვანი, ვინ დაიკავებს ამ თანამდებობას, არამედ იმით, რომ სააკაშვილი, ადამიანი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მთელი ეპოქა და საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორია, მიდის პოსტიდან. როგორც კომპიუტერულ თამაშებშია, ის იყენებდა ბევრ „პოლიტიკურ სიცოცხლეს“, თუმცა ახლა, როგორც ჩანს, game over“,** — წერს თინა კანდელაკი და აცხადებს, რომ დროა, საქართველოსა და რუსეთს შორის ჩამოშვებული რკინის ფარდა აიხსნას.

**„როგორი იქნება საქართველო სააკაშვილის გარეშე?! რუსეთის მტერი თუ მისი პარტნიორი?! შეძლებს კი რუსეთი, დაალაგოს ურთიერთობა ამ ისტორიულად მეგობრულ და კულტურულად ახლო სახელმწიფოსთან? სამწუხაროდ, რუსების წარმოდგენას საქართველოზე კვლავ აფერმკრთალებს ხუთი წლის წინანდელი მოვლენები. ვწუხვარ, თუმცა მოცემულ მომენტში ერთადერთი, რაც მასობრივ შეგნებაში საქართველოსთან ასოცირდება, 2008 წლის ომია თავისი შედეგებით. ახსოვთ ასევე ღვინისა და ბორჯომის აკრძალვა. შესაძლოა, ვინმეს გივი თარგამაძეც გაახსენდეს. საწყენია, ქართველების წინა თაობა ხომ ასოცირდებოდა რაღაც ნათელთან და სასიამოვნოსთან — დანელიას გენიალურ ფილმებთან, კიკაბიძის სიმღერასთან, თბილისის „დინამოს“ გამარჯვებასთან. დღეს ჩვენს ქვეყნებს შეუძლიათ, მოძებნონ ერთმანეთი კულტურაში, თუმცა პოლიტიკა ახლა ყველაფერს ფარავს. ეს მაშინ, როდესაც რუსეთში ქართულ პოლიტიკაზე წარმოდგენა ძალიან ზედაპირულია: ბევრმა არც იცის, რომ ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა საპარლამენტოთი შეიცვალა და მმართველი პოლიტიკური ელიტა თითქმის მთლიანად შეიცვალა... თუმცა საქართველოშიც არაერთგვაროვანი მოსაზრებაა რუსეთზე. ხალხს სხვადასხვა აზრი აქვს, ხშირ შემთხვევაში კი, პოლარიზებული — ერთნი სოჭში ოლიმპიადას მიესალმებიან, 6000 ქართველი კი ხელს აწერს პეტიციას და მისი ქვეყნის შეჯიბრში მონაწილეობას ეწინააღმდეგება. ერთნი საუბრობენ რუსეთთან შერიგების აუცილებლობაზე, მეორენი კი ვერაფრით ივიწყებენ ომს. ეს ყინული აუცილებელია, დავამსხვრიოთ. მარტივ რაღაცებზე შუღლის მიზეზი არ არსებობს. სააკაშვილის წასვლის შემდეგ ხომ აღარ არის პრინციპული წინააღმდეგობები ორი სახელმწიფოს დაახლოებისთვის. იქნებ დროა, უკვე გადავდგათ შემხვედრი ნაბიჯები? და ეს მოწოდება, მიმართვა მხოლოდ პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებს არ ეკუთვნის. უბედურება ის არის, რომ სააკაშვილის მმართველობის დროს არა მხოლოდ რუსეთში ჩამოყალიბდა ქართველების სტერეოტიპი, არამედ საქართველოშიც ნორმად იქცა ძალიან ტენდენციური დამოკიდებულება რუსეთთან, რომლებიც უმეტესწილად, მითებზეა აგებული. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენ შორის ხუთი წლის განმავლობაში რაღაც რკინის ფარდა წარმოიშვა და ჯერ ისევ ღვივის ცივი ომი, რომელიც არც ერთ ჩვენგანს არ სჭირდება. ვფიქრობ, მოვიდა დრო, ავხსნათ ეს ფარდა და შევხედოთ ერთმანეთს. შევხედოთ პროპაგანდის სათვალეების გარეშე, რათა დავინახოთ ერთმანეთი ისეთები, როგორებიც ვართ. თუ ეს მოხდება, ვიცი, ვერ მოვძებნით მიზეზს, რომ ერთმანეთი ვერ ავიტანოთ“,** — წერს თიკა კანდელაკი.

*„პირველი“*



# რიჩარდ ნორლანდი: „საარჩევნო პროცესი კარგადაა ორგანიზებული“

საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, საარჩევნო პროცესი კარგადაა ორგანიზებული. როგორც ჟურნალისტებთან 31-ე საარჩევნო უბანზე ყოფნისას ნორლანდმა განმარტა, ეს დღე მნიშვნელოვანია, რადგან შეუძლია, წვლილი შეიტანოს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციის საქმეში.

**„ტრადიციად გვაქვს, რომ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების საელჩოები არჩევნებზე ერთობლივ დაკვირვებას ვახორციელებთ. ახლაც ჩემს კოლეგებთან ერთად ვიმყოფებით აღნიშნულ უბანზე, სადაც დავაკვირდებით საარჩევნო პროცესს. საქართველოსთვის ეს დღე მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია, წვლილი შეიტანოს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციის საქმეში. ჩვენ ვაკვირდებით, თუ როგორაა ორგანიზებული საარჩევნო პროცესი უბნებზე. ჩანს, ამ შემთხვევაში პროცესი ძალიან კარგად არის ორგანიზებული და იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი წარიმართება მშვიდად, გამჭვირვალედ, თავისუფლად და სამართლიანად“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



# ხათუნა ლაგაზიძე: „საარჩევნო გარემო, შარშანდელთან შედარებით, შეუდარებლად გაუმჯობესებულია“

როგორც პოლიტოლოგმა ხათუნა ლაგაზიძემ „პირველს“ განუცხადა, არჩევნები მშვიდ გარემოში მიმდინარეობს და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, განსხვავება თვალშისაცემია.

**„შარშან გარემო საოცრად დამუხტული იყო. მოსახლეობა საარჩევნო უბნებთან იყო დარაზმული, რომ ხელისუფლებას ყუთები არ დაეტაცებინა და უბნები არ დაერბია. ეს ორი არჩევნები ცასა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან“,** — განაცხადა ლაგაზიძემ.

რაც შეეხება დარღვევებს, რომლებზეც არასამთავრობოები და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები საუბრობენ, პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ეს ბუნებრივია და წარსული გამოცდილების შედეგია.

**„იდეალური საარჩევნო გარემო არ არსებობს, მათ შორის, ჩვენზე დიდი საარჩევნო ტრადიციის მქონე ქვეყნებში. ის, რომ დარღვევები დღესაც ფიქსირდება, ბუნებრივიცაა, რადგან წლების განმავლობაში გაყალბება არჩევნების ნაწილი იყო; საარჩევნო კომისიებშიც ისევ ის ხალხია, ვინც არჩევნებს აყალბებდა; ისევ ის პარტიები მონაწილეობენ, ვინც გაყალბების ტექნოლოგიებს ფლობს. როდესაც ვამბობ, რომ გარემო შეუდარებლად გაუმჯობესებულია, შარშანდელ და ყველა წინა არჩევნებს ვადარებ. გარდა ამისა, არ მგონია, დღეს დაფიქსირებული დარღვევები იმ ტიპის იყოს, რომელსაც არჩევნების შედეგზე გავლენის მოხდენა შეუძლია“,** — განაცხადა ლაგაზიძემ.

*„პირველი“*

# პრემიერის ინიციატივით, ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პრემია დაწესდება



ჩარგალში, ვაჟაობის დღესასწაულზე, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ **„პრემია ჰუმანიზმისთვის დაწესდება და მას კულტურისა და ლიტერატურის სფეროში მოღვაწე ადამიანები მიიღებენ“.**

**„ეს ცოტა უფრო ადრეც უნდა გაკეთებულიყო, რადგან ვაჟა-ფშაველა უდიდესი მოღვაწეა და ჩვენს ქვეყანას მისი სახელობის პრემია უნდა ჰქონდეს. თუმცა ეს რომ აქამდე არ მოხდა, შესაძლოა, კარგიც არის, რადგან პრემიის დაარსების შესახებ ბრძანებას ახალი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მოაწერს ხელს, რომელიც გამორჩეული ადამიანია და ცნობილია როგორც ერთ-ერთი განათლებული, ერუდირებული და ჰუმანური პიროვნება“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ჩარგალში ტრადიციული ვაჟაობა გაიმართა, რომელსაც მინისტრთა კაბინეტის წევრები, დეპუტატები, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები და დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ტრიპოლსკი ესწრებოდნენ. დღესასწაულის ფარგლებში ტრადიციული დოლი, ჭიდაობა და კონცერტი გაიმართა.

*„პირველი“*

# სოციალურ ქსელებში საარჩევნო კურიოზები გავრცელდა




საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა უბანზე საარჩევნო კურიოზები დაფიქსირდა, რომლებიც მოგვიანებით, სოციალურ ქსელებში გავრცელდა. ერთ-ერთი მომხმარებელი წერს, რომ ე.წ. მატროსოვის ციხეში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა გაიმარჯვა. ასევე სოციალურ ქსელ Facebook-ზე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, მარნეულში ერთ-ერთ უბანზე კომისიის თავმჯდომარემ ბეჭედზე ნაკვეთურის გაკეთებისას ხელი გაიჭრა და ისე გამწარდა „ერთი თქვენიც და არჩევნებისაცო“, სხვა ბეჭდებს ნაკვეთურები აღარ გაუკეთა და ისე განაგრძო პროცესი. წესით, უნდა გაუქმდეს ამ უბნის შედეგები“, — წერს ერთ-ერთი მომხმარებელი.

სოციალურ ქსელში დედოფლისწყაროში მომხდარ ინციდენტზეც დაიწერა: „დედოფლისწყაროში გადასატანი ყუთი, წესისამებრ, კომისიის ორმა წევრმა წაიღო, თუმცა 1 საათში უკან მობრუნდნენ, ბიულეტენები დაგვრჩაო“.

გავრცელებული საარჩევნო კურიოზები დედაქალაქსაც შეეხებოდა. **„ვაკეში დამკვირვებელი დაიჭირეს, ერთ ხელზე 4 თითი ჰქონდა, მეორეზე 1 და აგიტაციაში ჩაუთვალეს, პროსტა ვერ ადგენენ, ვისისტია“**, — წერს ერთ-ერთი მომხმარებელი. ასევე გავრცელდა საარჩევნო კურიოზი ჩოხატაურიდან: **„ჩოხატაურის პოლიციის სამმართველოს შენობა, რომელიც წლების განმავლობაში წითელი ფერის იყო, დღეს თეთრად გადაღებეს“**.

**„დმანისის 43-ე უბანზე ჩაყარეს ბიულეტენები. ფაქტი გადაღებულია“**, — წერს ერთ-ერთი მომხმარებელი. „კომენტატორი სანდრო ცნობილაძე არჩევნებში ვერ მონაწილეობს... მისი და ცესკო-ს ცხელი ხაზის დიალოგი:

სანდრო: — გამარჯობა, თუ არ შეწუხდებით, იქნებ ამიხსნათ, რატომ ვარ მოხსნილი რეგისტრაციიდან?

ოპერატორი: — (ხმაზე მაქსიმუმ 30 წლის) მე რა ვიცი, შვილო! რატომ ხარ მოხსნილი, ალბათ, დააშავე რამე! იუსტიციის სახლმა მოგხსნა და იქ დარეკე, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებ, არაფერი შეიცვლება“.

კიდევ ერთი კომენტარი, რაც სოციალურ ქსელში გავრცელდა, მამა ტარიელ სიკინჭილაშვილს ეხება: **„ვდებ, მამა ტარიელ სიკინჭილაშვილის ესემესს, რომელიც ნაცნობმა მიიღო მამა ტარიელის ტელეფონიდან: ხმა ღვთისა და ხმა ერისა. პატრიარქის ლოცვით, უფალმა ინებოს და ხვალ საქართველოს მოსახლეობამ აღიაროს ღვთის ნება და აირჩიოს გიორგი მარგველაშვილი. წმინდა გიორგი იყოს წინამძღოლი სრულიად საქართველოსი ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა, ამინ“**.

*„პირველი“*

# ადმინისტრაციული დავების უმეტესობა ფიზიკური პირების სასარგებლოდ დასრულდა

## სასამართლო სტატისტიკა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე

*2013 წლის 9 თვეში საქართველოს სასამართლოებმა ათეულობით ათასი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმე განიხილეს. 2012 წლის 9 თვესთან შედარებით სასამართლოებში შემოსული სამოქალაქო საქმეების რაოდენობა გაიზარდა 3,7 პროცენტით. მთელი საქართველოს მაშტაბით სასამართლოებში შევიდა 25 853 სამოქალაქო კატეგორიის საქმე, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობამ შეადგინა 12 145, მათ შორის სარჩელი დაკმაყოფილდა 11 303 საქმეზე, შეწყდა 1957 საქმეზე, ხოლო გადაწყვეტილება დატოვებულია განუხილველად 2891 საქმეზე.*




სააპელაციო სასამართლოებმა 2013 წლის 9 თვეში განიხილეს 1606 საქმე, რომელთაგან, გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 111 საქმეზე და გაუქმდა 495 საქმეზე.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრებს. 2013 წლის 9 თვეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შესაბამისმა პალატამ განიხილა 575 საქმე, რომელთაგან, გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 514 საქმეზე და გაუქმდა 61 საქმეზე.

რაც შეეხება რაიონების მიხედვით დამთავრებულ საქმეთა რაოდენობას. ყველაზე მეტი საქმე განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოში. 2013 წლის 9 თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სულ დამთავრდა 12 634 საქმე, მათ შორის გადაწყვეტილების გამოტანით დამთავრდა 5815 საქმე.

იმერეთის რეგიონის სასამართლოებმა ამ პერიოდში დაამთავრეს 2355 საქმე, კახეთის რეგიონში- 1144, გურიის რეგიონში-381 , მცხეთა-თიანეთის რეგიონში- 438, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში- 88, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში- 1118, სამცხე-ჯავახეთის- 475, შიდა ქართლის რეგიონში- 982 , ქვემო ქართლის რეგიონში- 1445, აჭარის რეგიონში-1927, ხოლო აფხაზეთის სასამართლოებმა დაამთავრეს 219 საქმე.

როგორია სტატისტიკა სამოქალაქო დავებისა კატეგორიების მიხედვით. სულ სანივთო სამართლებრივ დავებზე შემოსულია 1972 სარჩელი. სასამართლოებმა ვალდებულებითი სამართლებრივი დავების კატეგორიიდან განიხილეს 11 834 , ინტელექტუალურ სამართლებრივი - 232, საოჯახო-სამართლებრივი - 4837, სამეწარმეო სამართლებრივი - 94, შრომის სამართლებრივი - 909 საქმე . სასამართლოებმა სულ სასარჩელო წარმოების წესით განიხილეს 20 937 საქმე, ხოლო უდავო წარმოების წესით- 4 891 საქმე.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეებს. 2013 წლის 9 თვეში სულ პირველი ინსტანციის სასამართლოებმა განიხილეს 7396 საქმე, მათ შორის გადაწყვეტილების გამოტანით დასრულდა 5547 საქმე.

74 საქმით, ანუ 44,3 პროცენტით გაიზარდა მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობა და სულ შეადგინა 241 საქმე. მიმდინარე წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე დადგენილება გამოტანილი იქნა 21 501 პირის მიმართ, რომელთაგან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 19 487 პირს.

2013 წლის 9 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ადმინისტრაციულ საქმეებზე განხილული 6496 საჩივრიდან ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ დამთავრდა 2116, ანუ 32,6%, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი-4162 საქმე, ანუ 64,1 პროცენტით.

რაც შეეხება იმავე კატეგორიის დავებზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. საკასაციო ინსტანციამ განიხილა 462 ადმინისტრაციული საქმე, აქედან ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 206 საქმე, ანუ 44,6%, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი- 250 საქმე, ანუ 54,1 პროცენტი. საგადასახადო დავებზე განხილული იყო 43 საკასაციო საჩივარი, აქედან საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 13 საქმე, ანუ 30,2 პროცენტი, ფიზიკური პირების სასარგებლოდ კი-30 საქმე, ანუ 69,8. პროცენტი.

სასამართლოების მუშაობის სტატისტიკური მონაცემების გაცნობა უფრო ვრცლად შესაძლებელია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე www.supremecourt.ge

# ქუთაისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი სხდომა ჩატარდა

*ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით პირველი პროცესი ჩატარდა. კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლისა და შესაბამისი ფიცის დადების შემდეგ 12 ნაფიცი მსაჯული ორი პირის მკვლელობის მცდელობასა და ერთი პირის მკვლელობაში ბრალდებულ ბესიკ ბოჭორიშვილის საქმის განხილვაში ჩაერთო.*



დანაშაული თერჯოლაში, 2013 წლის 19 მაისს მოხდა. სამი პირის ურთიერთშელაპარაკებას, რომელიც ახალგაზრდა მამაკაცებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რეზო ნიშნიანიძის მკვლელობა მოჰყვა.

ბრალდებულ ბესიკ ბოჭორიშვილისთვის წაყენებული ბრალდებით, მან მასთან დაპირისპირებული ორი პირი დანით დაჭრა. მათგან ერთი იარაღით მიყენებული დაზიანებებით გარდაიცვალა.

სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა მომხდარის საკუთარი ვერსია მოჰყვა, რომლის მიხედვით, მას დანაშაულის ჩადენა განზრახული არ ჰქონდა. იარაღი კი თავდაცვის მიზნით გამოიყენა. მსაჯულებმა მხარეთა პოზიციები და მოწმეთა ჩვენებები მოისმინეს.

# სოჭი-2014 — პუტინის გარემოცვის მიერ მოპარული მილიარდები და რადიაქტიული დაბინძურების 2500-ზე მეტი კერა

მირიან ლებანიძე
5-77-41-38-41

**ოლიმპიურ ისტორიაში „სოჭი - 2014“ ყველაზე ძვირადღირებული იქნება. მას უკვე 51 მილიარდ დოლარად აფასებენ და ხარჯს დასასრული მაინც არ უჩანს. მსოფლიო პრესა აღნიშნავს, რომ ამ მხრივ 2008 წლის ზაფხულის პეკინის ოლიმპიადასაც გაუსწრო, რომელიც 43 მილიარდი დაჯდა. დღეს პუტინი ცდილობს, საკუთარი მოქალაქეები დაარწმუნოს, რომ ოლიმპიური მშენებლობები 214 მლრდ რუბლი – 6,6 მლრდ დოლარი დაჯდა, საიდანაც ნახევარზე ოდნავ მეტი კერძო ინვესტორებმა გაიღეს. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ინფორმაციის მკაცრად გასაიდუმლოების მცდელობის მიუხედავად, მშენებლობების ხარჯებისა და მათთან დაკავშირებული სკანდალური ფაქტების შესახებ ცნობები მაინც ჟონავს.**




რუსეთში, სოჭის ოლიმპიადა არნახული მასშტაბების კორუფციას და სახელმწიფო სახსრების დატაცებასთან ასოცირდება, რომლის სათავეში ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია. ამ თემაზე გამუდმებით იწერება რუსულ და უცხოურ მედიაში, რომლებიც სხვადასხვა დარგის ექსპერტების ცნობებს ემყარება. 2007 წელს პუტინმა მსოფლიოს ამცნო, რომ რუსეთი მზადაა, ოლიმპიადის ორგანიზებისთვის 12 მილიარდი დახარჯოს ანუ ოლიმპიადის მასპინძლობის სხვა პრეტენდენტებზე — ავსტრიასა და სამხრეთ კორეაზე გაცილებით მეტი. ალბათ, პოლიტიკური მიზეზების გარდა, ამ ფაქტორმაც განაპირობა, რომ ოლიმპიადა რუსეთში გაიმართება, თუმცა პუტინის მიერ დასახელებული ციფრი რამდენჯერმე გაიზარდა და, ძირითადად, ფასების ხელოვნური მატებისა და დატაცების ხარჯზე. ფაქტები, ციფრები პუტინისა და მისი გარემოცვის მადაზე მეტყველებს. ხელოვნურად გაძვირებული მშენებლობების ჩამონათვალი ძალზე ვრცელია. დანაშაულის მასშტაბის შესაფასებლად რამდენიმე ფაქტის მოყვანაც კი საკმარისია.

**მთავარი ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა, სადაც ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიები უნდა გაიმართოს, 780 მილიონი დოლარი დაჯდა მაშინ, როცა თავიდან მისი მესამედი იყო ნავარაუდევი. გამოდის, ერთი მაყურებლის მისაღებად 19 500 დოლარი გამოიყო და ეს იმ დროს, როცა მსოფლიოში ოლიმპიადის ცენტრალურ სტადიონებზე ერთ მაყურებელზე 6000 იხარჯება. ჰოკეის სტადიონ „ბოლშოის“ მშენებლობაზე, 200-ის ნაცვლად, 300 მილიონი დოლარი წავიდა ანუ ერთ მაყურებელზე 25 000, ფიგურული სრიალისთვის განკუთვნილი სასახლე „აისბერგიც“, 100-ის ნაცვლად, 278 მილიონი დაჯდა — 23 000 დოლარი ერთ მაყურებელზე. ყველა შემთხვევაში დანახარჯი სხვა ქვეყნების ანალოგიებს მინიმუმ ორჯერ აჭარბებს, თუმცა დატაცებისა და კორუფციის მხრივ, რეკორდი მოხსნა ტრამპლინმა „რუსკიე გორკი“ — მის აგებას 270 მილიონი დოლარი მოხმარდა, რაც თავდაპირველ ბიუჯეტზე სულ ცოტა 6.5-ჯერ მეტია. შესაბამისად, ერთი მაყურებლის მომსახურების ფასმა 36 000 დოლარი შეადგინა და ეს მაშინ, როცა მსოფლიოში იგი სულ 3 400 დოლარია. სპორტული ობიექტების გარდა, ინფრასტრუქტურის მოწყობაზეც არნახული თანხები იხარჯება. 2014 წლის თებერვლამდე სოჭის შემოგარენში 3 ოლიმპიური სოფელი უნდა აშენდეს. მთავარი იქნება იმერეთის დაბლობზე, რომელიც 1500 აპარტამენტისგან შედგება და 3000 ადამიანს მიიღებს. ობიექტის ღირებულება ერთ სტუმარზე 363 ათასი დოლარია.**

სოჭის ოლიმპიადისთვის სახელმწიფო სახსრების მითვისების კორუფციული სქემა ყველაზე დეტალურად „სახალხო თავისუფლების პარტიის“ თანათავმჯდომარე ბორის ნემცოვმა და მოძრაობა „სოლიდარნოსტის“ პოლიტსაბჭოს წევრმა ლეონიდ მარტინიუკმა გაშიფრეს.

**„დატაცების მასშტაბების შესაფასებლად ავიღოთ მოკრძალებული ციფრი — პუტინური ობიექტები მსოფლიოსაზე 2,5-ჯერ ძვირია. აქედან ადვილია სოჭის ოლიმპიადის გაუქურდავი ფასის გამოთვლა — 20 მლრდ დოლარი. გამოდის, 30 მილიარდი მოიპარეს“,** — აცხადებენ ნემცოვი და მარტინიუკი და დასძენენ: **„ოლიმპიური ბიუჯეტის მითვისების მასშტაბი გამაოგნებელია, მაგრამ აი, რა არის საინტერესო: თაღლითობაზე, დატაცებაზე, ქრთამსა და „ატკატებზე“ არც ერთი საქმე სასამართლომდე არ მივიდა. პუტინური ოლიმპიადის ზღაპრული ქურდობის მთავარი მიზეზი — ხელისუფლების დახურულობა და პუტინთან დაახლოებული დამნაშავეების დაუსჯელობაა“.**

## ოლიმპიადისთვის სახელმწიფო დაკვეთებს პუტინთან დაახლოებული პირები იღებდნენ

რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა კერძო ინვესტიციებით მიმდინარეობს. სინამდვილეში, ღონისძიებას მხოლოდ 2 კერძო „მოხალისე“ ინვესტორი ჰყავს, სხვები კი ისევ და ისევ სახელმწიფო კორპორაციები არიან. უმსხვილესია სახელმწიფო კორპორაცია „ოლიმპსტროი“ — სპეციალურად ოლიმპიადისთვის შეიქმნა 2007 წელს და 8 მილიარდს ითვისებს, მას მთავარი ოლიმპიური სოფლისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა აბარია. „ოლიმპსტროი“ ოლიმპიადისთვის მზადებასაც უწევს კოორდინაციას. რამდენიმე წლის განმავლობაში კორპორაციამ ოთხი დირექტორი გამოიცვალა და, თაღლითობისა და კორუფციის ბრალდებით, 27 საქმე აღიძრა, თუმცა ყველა მათგანი მალევე ჩაიფარცხა. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიურ მშენებლობებზე კონტროლი, წესით, გოსდუმამ უნდა განახორციელოს, მმართველმა პარტია „ედინაია როსიამ“ „ოლიმპსტროის“ საპარლამენტო კურატორობაში გადასვლას მხარი არ დაუჭირა.

რუსეთის პრეზიდენტისკენ მიმავალი კვალი უკეთ ჩანს სხვა მაგალითებზე: 7-მილიარდიანი პროექტები მიიღეს პუტინის ბავშვობის მეგობრების — არკადი და ბორის როტენბერგების კომპანიებმა. ისინი აშენებდნენ გაზსადენს, გზებს, აეროპორტს, ადლერის ელექტროსადგურს, პორტსა და სხვა ობიექტებს.

„გაზპრომმა“, რომელსაც ასევე პუტინის მეგობარი ალექსეი მილერი ხელმძღვანელობს, ოლიმპიადა თითქმის 4 მილიარდით დააფინანსა, საიდანაც დიდი ნაწილი როტენბერგებმა აითვისეს. პუტინის მეგობრების: მილერისა და როტენბერგების შეთანხმებულ და საეჭვო საქმიანობაზე მეტყველებს თუნდაც 2009 წელს მომხდარი ფაქტი, როცა „გაზპრომმა“ მანამდე 10 მლრდ რუბლად შეფასებული ჯუბგა-სოჭის გაზსადენის მშენებლობის შეკვეთა როტენბერგებს უკონკურსოდ დაუთმო და სამჯერ მეტიც გადაუხადა. როტენბერგებმა ასევე საეჭვო მაქინაციებით ჩაიგდეს ხელთ კურორტის მთავარი პროსპექტის დუბლიორის მშენებლობის შეკვეთაც. ძმებს საქმეში ამჯერადაც საშუალოზე ბევრად მეტი გადაუხადეს, მაგრამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე მათ მიერ აშენებულ გზაზე ერთ-ერთი გვირაბი ჩაინგრა, რამაც დიდი სკანდალი გამოიწვია.

მიმდინარე წლის დასაწყისში ძმები ერთ-ერთი თავიანთი კომპანიის „ინჟტრანსტროის“ წილიდან სასწრაფოდ გავიდნენ, რადგან ობიექტების ჩაბარების გრაფიკში ვერ ეტევიან, თუმცა მათ ხელში სოჭში კიდევ მრავალი სხვა შეკვეთა რჩება.

ასევე, დაახლოებით, 8 მილიარდის მშენებლობები პუტინის მეგობარ ვლადიმერ იაკუნინის სახელმწიფო კომპანია „რუსეთის რკინიგზას“ ჩაუვარდა ხელთ. იგი ამ თანხით, ძირითადად, საავტომობილო გზებსა და რკინიგზას აშენებდა. იაკუნინის ერთ-ერთი მსხვილი აფერა იყო ადლერი-კრასნაია პოლიანას 48-კილომეტრიანი გზის მშენებლობა, რომელიც პუტინმა ჩააბარა. იგი ბიუჯეტს 9,4 მილიარდი დოლარი დაუჯდა ანუ 1 კვ.მ 10 000 დოლარი.

რაღა თქმა უნდა, სოჭის ოლიმპიური ინფრასტრუქტურის ფულადი სახსრების მითვისებით, მხოლოდ პუტინმა და მისმა გარემოცვამ როდი მოითბო ხელი. თაფლის კასრში ხელს იმჟამინდელი პრეზიდენტი და ახლანდელი პრემიერი დიმიტრი მედვედევიც აფათურებდა, დატაცების რეკორდსმენი კი „კრასნაია პოლიანას“ ხელმძღვანელი მმართველი პარტიის წევრი და მედვედევის მეგობარი ახმედ ბილალოვი იყო. რუსული პრესის ცნობით, თავდაპირველად, ბილალოვი ცდილობდა, მშენებლობებიდან კომერციული მოგებაც ენახა და ხელიც მოეთბო. მან სასტუმროს, გოლფ-კლუბის, სამთო კარუსელისა და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა იტვირთა.

შემდეგ, მის საქმეში უფრო გავლენიანი პირები ჩაერივნენ და ახალ-ახალი ვალდებულებებით დატვირთეს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნით კი, ტრამპლინის, ტრიბუნებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობაც დაავალეს. პროექტის ბიუჯეტი 8-ჯერ გაიზარდა და ფულმაც მხოლოდ მის ჯიბეში კი არა, მისთვის უცნობი მიმართულებით დაიწყო დენა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ბილალოვმა ვერც ერთი საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. პროექტი ჩავარდნის საფრთხისქვეშ დადგა და ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ბილალოვს ისევ მედვედევმა უშველა და სხვა სამსახურში გადაიყვანა.

2010 წელს ერთ-ერთი კომპანიის — „მოსკონვერსპრომის“ ხელმძღვანელმა ვალერი მოროზოვმა გაბედა და „ნოვაია გაზეტას“ გამოუტყდა, რომ თავისი შეკვეთის 12% – 4 მილიონი ფუნტი, ქრთამის სახით, ვლადიმერ ლეშჩევსკის გადაუხადა, რომელსაც იმ დროს პრეზიდენტ მედვედევის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილის სავარძელი ეკავა. მედვედევის განკარგულებით, მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა, მაგრამ მალევე დაიხურა. სწორედ ამგვარი ფაქტების წყალობით, სოჭში წამოწყებული მრავალი ობიექტის მშენებლობის დასრულება დღემდე ვერ ხერხდება. დადგენილ გრაფიკს 200-ზე მეტი სამშენებლო კომპანია ჩამორჩება. თებერვლამდე ცოტაღა დარჩა და, რუსეთის გარდა, უცხოეთშიც შიშობენ, რომ ზამთრის ოლიმპიადა უსიამოვნო სიურპრიზების გარეშე არ ჩაივლის.

**„მშენებლობის ცუდი ხარისხი და მზარდი ხარჯები ოლიმპიურ ინფრასტრუქტურას ვნებს. სათხილამურო ტრამპლინის რამდენჯერმე გადაკეთება გახდა საჭირო და მისი ფასი 24,8–დან 165 მლნ ფუნტამდე გაიზარდა“,** — წერს Independent.

## ეკოლოგიური კატასტროფა




სოჭის ირგვლივ მიმდინარე მასშტაბურმა მშენებლობებმა ადგილობრივ ეკოლოგიას განუზომელი დარტყმა მიაყენა. ხშირად მშენებლობები ეკოლოგებისა და ბუნების დამცველთა შეფასებებისა და ნებართვის გარეშე, სპონტანურად და ბარბაროსულად მიმდინარეობდა; განსაკუთრებით დიდი ზიანი იუნესკოს დაცვის ქვეშ მყოფ ნაკრძალ „ზაპადნი კავკაზსა“ და მასზე გამავალ მდინარე მზიმთას მიადგა. ბოლოს და ბოლოს, ეს რუსეთის გარემოს დაცვის მინისტრმაც აღიარა, თუმცა მის სიტყვებს ფასი არ აქვს, რადგან თებერვლამდე ყველა მშენებლობა უპირობოდ უნდა დასრულდეს; კიდევ იმიტომაც, რომ ოლიმპიური მშენებლობის პარალელურად, პუტინმა ზედ ნაკრძალში მილიარდიანი საპრეზიდენტო აგარაკი „ლუნნაია პოლიანა“ მოიწყო.

*დასასრული მე-8 გვერდზე*

ექსკლუზიური ვერსია

# სოჭი-2014 — პუტინის გარემოცვის მიერ მოპარული მილიარდები და რადიაქტიული დაბინძურების 2500-ზე მეტი კერა



*მე-7 გვერდიდან*

ოლიმპიური მშენებლობები ადგილობრივთა და ეკოლოგების პერმანენტული აქციების ფონზე მიმდინარეობს, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევს.

**დღეს უკვე დაივიწყეს 2009 წელს გამჟღავნებული შემაშფოთებელი ფაქტი, რომ სოჭში რადიაქტიული დაბინძურების 2500-ზე მეტი კერა აღმოჩნდა. ყველაზე მეტად კი, რადიაციული ფონი ოლიმპიური შეჯიბრებებისთვის გამოყოფილ უბნებში შეინიშნებოდა. „ცეზიუმ 137"-ის რადიაციული ლაქები რამდენიმე კვადრატულიდან რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრამდე აღწევდა. რადიაციული დაბინძურების წყარო როსტოვის ატომური ელექტროსადგური და სხვა ენერგოობიექტები აღმოჩნდა.**

თუმცა საფრთხის უმთავრეს მიზეზად ჩერნობილის კატასტროფა დასახელდა. იმავე წელს ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ 2000–მდე კერა გაიწმინდა და საფრთხე აღარ არსებობს. დღეს სოჭში აქტუალურია ოლიმპიური მშენებლობების უსიამოვნო შედეგები. მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების გამო, მთელი ზაფხული ქალაქში ფეკალიების სუნი ტრიალებდა. დადგა გვიანი შემოდგომა, მაგრამ ადგილობრივი მედია კვლავ შეძრწუნებული იუწყება, რომ კანალიზაციის სიმყრალე ქალაქს მოსვენებას მაინც არ აძლევს. ადგილობრივ ფორუმებზე ხუმრობენ, რომ სოჭის ოლიმპიადას ზამთრის სიცივე თუ გადაარჩენს, რომელიც ოლიმპიურ სურნელებას გაფანტავს, თუმცა ესეც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

### რა სიურპრიზს ამზადებს ბუნება?

დღეს სოჭის ოლიმპიადის ირგვლივ ორი მთავარი კითხვაა: მოესწრება თუ არა და ეციება თუ არა. როგორი საკვირველიც უნდა იყოს, „სოჭი-2014"-ს ყველაზე დიდ საფრთხეს არა მისი ორგანიზატორების მტაცებლობა, არამედ ბუნება უქმნის. ოლიმპიადის ნაწილი რუსეთის ყველაზე თბილ წერტილში – იმერეთის დაბლობსა და დიდ სოჭში უნდა გაიმართოს. თებერვლის შუა ხანებში, როცა ოლიმპიადა იგეგმება, იქ ტემპერატურა ხშირად +10 გრადუსსაც აჭარბებს.

რუსი სინოპტიკოსები ირწმუნებიან, რომ 2014 წლის ზამთარი ნორმის ფარგლებში იქნება. კრიტიკულ სიტუაციებში რუსებს ზამთარი სწყალობს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, მაინც შეიძინეს თოვლის 400 ქვემეხი, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, 500 ათას კუბომეტრ თოვლს დაამზადებს, მაგრამ სპეციალისტების შეფასებით, თუკი ზამთარი თბილი იქნება თოვლის ქვემეხები საქმეს ვერ უშველის.

### ოლიმპიური კომპლექსის ბურუსითმოცული მომავალი

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქი სოჭი ნახევარ მილიონ მოსახლეს ითვლის, ხოლო ოლიმპიური კომპლექსების სტადიონები 200 000-ზე მეტ მაყურებელს იტევს, იოლი წარმოსადგენია, რომ ოლიმპიადის შემდეგ მათი დატვირთვა დიდი კითხვის ქვეშ დგას; მით უმეტეს, რომ რეგიონში სპორტის ზამთრის სახეობები პოპულარობით არ სარგებლობს. გარდა ამისა, კომპლექსის შენახვა მილიონობით დოლარი დაჯდება. ოლიმპიადის პერიოდში ელექტროენერგიით უზრუნველყოფას დღეში, დაახლოებით, ერთი მილიონი დოლარი დასჭირდება. ოლიმპიადის შემდეგ ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირების შემთხვევაშიც კი, მის გაძღოლას ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ შეძლებს. დღეს რუსეთში ექსპერტები დანანებით საუბრობენ, რომ კომპლექსი, რომელიც ათეულობით მილიარდი დოლარი დაჯდა, არარენტაბელური იქნება და რამდენიმე წელიწადში გავერანება უწერია.

### რაში სჭირდება?

უკვე 6 წელია, ამოუხსნელ კითხვად რჩება, რაში სჭირდებოდა ვლადიმერ პუტინს ზამთრის ოლიმპიადის მაინცდამაინც სოჭში გამართვა. ალბათ, ყველაზე მეტად, რუსებთან ერთად, ეს კითხვა საქართველოში აინტერესებთ. რა ჩაიფიქრა, ველოდეთ თუ არა საფრთხეს? პასუხი პოლიტიკურია თუ საქმე მხოლოდ და მხოლოდ დიქტატორის ახირებასთან გვაქვს?

ორი ქვეყნის მტრობის გამო ძველი და ახალი ხელისუფლების მტკიცებას, რომ საქართველო ოლიმპიადის მშვიდობიანად ჩატარებისთვის ძალისხმევას არ დაიშურებს, პოლიტიკური განცხადების ელფერი დაკრავს, თუმცა ამ საკითხში საიდუმლო არხებით თანამშრომლობის გამორიცხვაც არ შეიძლება. რამდენიმე ხნის წინ, ბათუმში, რუსების მიერ ძებნილი ჩეჩენი ლაკაევის დაკავება სწორედ ასეთ სპეცოპერაციას წააგავს. ბოლო დროს, შიდაქართლში განვითარებული მოვლენების ფონზე, არასერიოზულად ჩანს ხელისუფლების იმედი, რომ ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობა რუსეთთან ურთიერთობის დათბობას შეუწყობს ხელს. მხოლოდ ერთი რამ არის ფაქტი: პრემიერმა გადაწყვეტილებების ცივი გონებით მიღება გვირჩია და არ გაითვალისწინა მოსახლეობის დიდი ნაწილის მოთხოვნა, ოკუპანტი სახელმწიფოს მასპინძლობით ჩატარებული ოლიმპიადის ბოიკოტირების შესახებ.

Bloomberg-ის ცნობით, პუტინი ობამას ზამთრის ოლიმპიადის ისლამისტებისგან დაცვაში თანადგომას სთხოვს. ფეესბე-ს დირექტორის მოადგილის, სერგეი სმირნოვის განცხადებით, სირიაში რუსეთის 400 მოქალაქე იბრძვის და მათი რადიკალური შეხედულებები საფრთხეს წარმოადგენს. ბობოქარი ჩრდილოეთ კავკასიის მეზობლად ოლიმპიადის მოწყობა რისკებთან რომაა დაკავშირებული, ამას მოსკოვში უთუოდ იმთავითვე ხვდებოდნენ, ამიტომ კიდევ უფრო მწვავედ დგას ეჭვი კრემლის საიდუმლო ზრახვების შესახებ და მაგალითად ჩეჩნეთის მეორე ომის წინაპირობაც გამოდგება. ან რით შეეცდება პუტინი თავის დაძვრენას, თუკი ზამთრის ოლიმპიადა, კლიმატური პირობებისა ან უხარისხო და დაუსრულებელი მშენებლობების გამო ჩაფლავდება?! არც ისაა გამორიცხული, მას, მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის შავიზღვისპირა კურორტების პოპულარიზაცია სურდეს.

„დიპლომატიური ომი"

# პოლიტიკური უგნურების ნიმუში — რუსი ბლოგერები ქართველი ელჩების წინააღმდეგ

## რომელი ელჩები მოხვდნენ „შავ სიაში" და რას მოუტანს რუსეთს ქვეყანაში ანტიქართული სენტიმენტის გაღვივება



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**რუსი ბლოგერები რუსეთის საგარეო უწყებას კავკასიური, მათ შორის ქართული წარმოშობის დიპლომატების სამსახურიდან გაშვებას სთხოვენ, ამის შესახებ ინფორმაციას ერთ-ერთი აზერბაიჯანული სააგენტო ავრცელებს.**
**რუსი ბლოგერების ე.წ. შავ სიაში მოხვდნენ ელჩი ლიტვაში ვლადიმერ ჩხიკვაძე, ელჩი საბერძნეთში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი, ელჩი გვინეაში ალექსანდრე ბრეგაძე, კონსული ბირმაში მიხეილ მგელაძე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი ორჯონიკიძე, გენერალური კონსული კუბაში ზურაბ ფერაძე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ნიკოლოზ თავთუმაძე, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გიორგი თოლორაია და რუსეთის ელჩი დანიაში თემურ რამიშვილი.**
**მოსკოვში, ბირიულოვოს რაიონში, აზერბაიჯანელი ორჰან ზეინალოვის მიერ მოსკოველი იგორ შერბაკოვის მკვლელობას ვითარების გამწვავება მოჰყვა.**
**აზერბაიჯანული სააგენტოს ცნობით, რუსეთის მოქალაქეები ხელისუფლებას „კავკასიური საკითხის" გადაჭრის თავისებურ გზებს სთავაზობენ და აღშფოთებას გამოთქვამენ, რომ „კავკასიელებით გადაივსო არა მხოლოდ რუსული ბაზრები, არამედ ბევრი უწყებაც, განსაკუთრებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო".**
**ამ თემაზე „ვერსია" საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს, ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრება.**

**— ბატონო ირაკლი, როგორ ახსნით რუსული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ამგვარ მოწოდებას საგარეო უწყებისადმი?**

— ეს ბლოგერების მხრიდან სრულიად არანორმალური საქციელი, ნაციონალიზმის ნორმასთან შეუთავსებელი გამოვლინება და იმ უკანასკნელი მოვლენების შედეგია, რომლებიც ქვეყანაში მოხდა, სხვათა შორის, იმ პოლიტიკისაც, რასაც დღეს რუსეთის ხელისუფლება ატარებს. ამგვარი პროცესის გაგრძელება ძალიან ცუდ შედეგებამდე მიიყვანს საქმეს. საუბარი მარტო ქართველებსა და დიპლომატებზე არ არის — რუსეთი მრავალეროვანი, მრავალკონფესიური კონგლომერატია და იქ ასეთი სენტიმენტების გაღვივება თუ გაძლიერება კატასტროფულ შედეგებს მოიტანს.

**— ეს პროცესი, რუსეთის ხელისუფლებისგან ხომ არ იმართება?**

— არ მგონია, ხელისუფლებაში არავის ესმოდეს, რამდენად დამანგრეველია ეს პროცესი თვითონ რუსეთისთვის. უბრალოდ, საქმე გვაქვს ძველ, ტრადიციულ რუსულ სტრატეგიასთან, რომელსაც, სხვათა შორის, მმართველობის ყველა თაობა მიმართავდა. ეს არის შინაგანი წინააღმდეგობისა და დაპირისპირების გაღვივება ეთნიკურ უმცირესობებთან, რის საფუძველზეც, ხელისუფლება ძალასა და თავის პოლიტიკურ წონას ინარჩუნებდა. მსგავსმა მიდგომამ და საქციელმა, რუსეთის რამდენიმე იმპერია დაანგრია და ეს ცნობილი ამბავია, მაგრამ სამწუხაროდ, სათანადო გაკვეთილად არ იქცა. ვიმეორებ, მჯერა, რომ რუსეთის ხელისუფლებაში არიან კეთილგონიერი ადამიანები, უბრალოდ, ამ ხედვას არ იზიარებენ ისინი, ვინც საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს.

**— „შავ სიაში" მყოფი დიპლომატების წარმომავლობა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში რაიმე ტიპის პრობლემებს ქმნის?**

— არანაირ დისკომფორტს არ ქმნის... რუსულ დიპლომატიაში ისტორიულად უამრავი გერმანელი, შვედი, ფრანგი, ინგლისელი იყო. პეტრე პირველმა არამარტო დიპლომატიურ, არამედ უამრავ სხვა სახელმწიფო სამსახურში (მათ შორის სამხედროში), არაერთი უცხოელი სპეციალისტი მიიწვია. მაგალითად, არქიტექტორთა აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც ცნობილი დიდი რუსული ქალაქები ააგო, იტალიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან იყო — ეს ადამიანები რუსეთს, სამშობლოზე არანაკლებ ერთგულებდნენ, ამიტომ მათდამი ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ დაბალი შეგნების ადამიანებს შეუძლიათ. ასეთი ფაქტები 2006-2007 წლებში ხშირი იყო, როცა ქართული წარმოშობის ბიზნესს თავს ესხმოდნენ მოსკოვში. ერთ-ერთი წამყვანი რუსი მწერალი ბორის აკუნინი, რომელიც გვარად ჩხარტიშვილია, ასევე მოყვა რეპრესიებში და ეს პოლიტიკური უგნურების ხაზგასმული ნიმუშია.



# გოჩა ძასოხოვი: „საქართველოს ხალხთა ასამბლეა გამოდის ინიციატივით, ოლიმპიურმა ცეცხლმა საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გაიაროს!“

ქეთი ნადირაძე

**27 ოქტომბერს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. საქართველო არა მარტო ქვეყნის ლიდერს, არამედ ქვეყნის განვითარების იმ გზას ირჩევს, რომელიც დიდი ხნის ნანატრ მშვიდობასა და კეთილდღეობასთან მიგვაახლოებს. საპრეზიდენტო არჩევნებსა და მოსალოდნელ რეფორმებთან დაკავშირებით, პროგნოზებს საქართველოს ხალხთა ასამბლეის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი აკეთებს.**

— ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში არჩევნები დიდი მღელვარების ფონზე მიმდინარეობდა. არც 27 ოქტომბერი იქნება გამონაკლისი, თუმცა ვფიქრობ, ამ არჩევნების მთავარი თავისებურება ისაა, რომ გაყალბება არ იქნება: რადგან დღეს ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება შეუძლებელია, სააკაშვილის მომხრეებს კი ამომრჩეველზე ზეგავლენა აღარ შეუძლიათ. ასე რომ, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის არჩევნები შესაძლებელია ყველაზე გამჭვირვალე და სამართლიანი გამოდგეს.

**— რატომ არის საპრეზიდენტო არჩევნები ასეთი ეპოქალური და საბედისწერო, საპრეზიდენტო უფლებები ხომ მნიშვნელოვნად შეკვეცილია...**

— მიუხედავად არჩევნების შედეგებისა, 27 ოქტომბერი ნაციონალური მოძრაობის დასასრულია. ყოფილი სახელისუფლო პარტიის კანდიდატს არანაირი შანსი არ გააჩნია არც გამარჯვებისა და მით უმეტეს, არც მეორე ტურის. 27-ში არა მხოლოდ ამ პარტიის, არამედ ქვეყნის დამღუპველი იდეოლოგიაც სრულდება, მთავრდება კოჰაბიტაცია „ქართულ ოცნებასა“ და სააკაშვილის რეჟიმს შორის. ასე რომ, „ოცნების“ წარმომადგენლებს ექნებათ საშუალება, მიიღონ ადეკვატური პოლიტიკური გადაწყვეტილებები, გამოიყენონ ცივილური ინსტრუმენტები პოლიტიკური სისტემის მშენებლობისთვის.

**— რა ამოცანების გადაწყვეტა მოუწევს ახალ პრეზიდენტს?**

— საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტის უფლებებს ზღუდავს, ძალაში შედის. მისი მთავარი მისიაა შიდაპოლიტიკური ძალების დაბალანსება და მათ შორის იმ დისონანსის არდაშვება, რომელმაც შეიძლება ქვეყანა დიქტატურის გზაზე დააყენოს. მიუხედავად იმისა, ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, მას მოუწევს მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა — დაალაგოს ურთიერთობები რუსეთთან, რადგან ძირითადი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა სწორედ რუსეთთან დიალოგზეა დამოკიდებული. ახალ პრეზიდენტს მემკვიდრეობად უამრავი პრობლემა, ორმხრივი წყენა და საქართველო-რუსეთს შორის არადიპლომატიური ურთიერთობები დახვდება. მოსკოვსა და თბილისს შორის, გარდა ჟენევის დისკუსიისა, არანაირი დიალოგი არ არის, მაგრამ ის სათანადო შედეგს არ იძლევა, რადგან საკუთარი პოტენციალი ამოწურა. ახალ პრეზიდენტს დიალოგისთვის ახალი სივრცის ძებნა მოუწევს და სწორედ აქ, ჩემი აზრით, შესაძლებელია „საბაჟო კავშირის“ შესაძლებლობების გამოყენება. ამ კავშირში გაწევრიანება, საქართველოს საშუალებას მისცემს, მისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები გადაწყვიტოს.

**— ე.წ. სამხრეთ ოსეთმა განაცხადა, რომ მზადაა, „საბაჟო კავშირში“ გაწევრიანდეს. მართალია, ჯერ პასუხი არ არის, მაგრამ შესაძლებელია თუ არა ამ შემთხვევაში, საქართველოს მონაწილეობა ამ პროექტში?**

— „სამხრეთ ოსეთის“ სურვილი გასაგებია, რადგან ეს ნაბიჯი შემდგომი ეკონომიკური განვითარების საშუალებას მისცემს, თუმცა რამდენად შესაძლებელია ეს, საერთაშორისო იურისტების გადასაწყვეტია. ორგანიზაციის წესდებით, კავშირში შემავალი ქვეყნები ერთმანეთს უნდა აღიარებდნენ. „სამხრეთ ოსეთის“ ამ კავშირში შესვლა საქართველოსთვისაც მისაღებია, რადგან ეს საშუალებას მისცემს, მრგვალ მაგიდას პარტნიორების რანგში შემოუსხდნენ. ქართული მხარე ყოველთვის საუბრობს დიალოგის ძებნის გზებზე, თუმცა ამ საკითხზე ცარიელი განცხადებების გაკეთების დრო უკვე დამთავრდა. აუცილებელია, რეალური ნაბიჯები, რომელიც ორმხრივ ნდობასა და გარანტიებზეა დამყარებული. ამ კავშირში გაერთიანება ქართულ მხარესაც მისცემს ოსებთან ურთიერთობის აღდგენის საშუალებას და „საბაჟო კავშირის“ მეშვეობით, შესაძლებელი იქნება მავთულხლართების მოხსნაც...

**— მოდით, ვიყოთ გულწრფელები, „საბაჟო კავშირის“ საკითხს თბილისში დიდი სიფრთხილით უდგებიან...**

— დიახ, ამის უარყოფა არ შეიძლება, თუმცა ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვებით, საქართველოს მოსახლეობის 27% კავშირში გაწევრიანებას არ გამორიცხავს, 39%-ისთვის ეს საკითხი აქტუალური არ არის. თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის მიერ ათი წლის განმავლობაში გატარებულ პოლიტიკას („ყველაფერი შორს, რაც რუსეთს გვაგონებს“), 27%, რომელიც დადებითად აფასებს „საბაჟო კავშირს“, ნამდვილად ოპტიმისტური ციფრია. თუ „საბაჟო კავშირში“ გაწევრიანების აზრს კარგად ავუხსნით მეწარმეებს, ბიზნესმენებს, მოსახლეობას, განვმარტავთ, რა დივიდენდები შეიძლება მოუტანოს მათ და სახელმწიფოს ამ ნაბიჯმა, მაშინ, ჩემი პროგნოზით, მოსახლეობის 50%-ზე მეტი ამ საკითხისადმი დადებითად განეწყობა.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტეგრაციული ეკონომიკური გაერთიანებები, რომელსაც საფუძვლად ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებში სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები უდევს, ყოველთვის მომგებიანია. ამ დრომდე წარმატებით ფუნქციონირებს სამხრეთამერიკის თავისუფალი სავაჭრო ზონა, რომელშიც 1994 წლიდან გაწევრიანდნენ ამერიკა, კანადა და მექსიკა, სამხრეთამერიკის საერთო ბაზარი, რომელიც 1991 წლიდან ფუნქციონირებს და რომლის წევრებიც გახლავთ არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი და ურუგვაი, ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი, დაარსებული 1961 წელს, რომელშიც სხვადასხვა დროს გვატემალა, ნიკარაგუა, სალვადორი, ჰონდურასი და კოსტა-რიკა შედიოდნენ. ყველაზე ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება — ევროკავშირი, საფუძველშივე გულისხმობს საბაჟო კავშირს, რომლის ფორმირებასაც მთელი 30 წელი დასჭირდა.

კავშირში გაწევრიანება სავიზო რეჟიმის საკითხსაც დადებითად გადაწყვეტს. ბირიულოვოში განვითარებულმა მოვლენებმა ემიგრაციის კანონი გაამკაცრა. უკვე საუბრობენ დსთ-ს ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე. რა უნდა ვილაპარაკოთ საქართველოზე, რომელიც არ შედის დსთ-ში და არ გააჩნია რუსეთთან სავიზო რეჟიმი. კავშირში გაერთიანება კი ყველა არსებულ პრობლემას მოხსნის და საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გარეშეც კი, საზღვრის გადაკვეთა გაადვილდება.

**— ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ ჩერქეზულმა საკითხმა, შესაძლებელია, სოჭის ოლიმპიადა დაჩრდილოს...**

— ვფიქრობ, ოლიმპიური ცეცხლი უფრო ძლიერი აღმოჩნდება. ჩვენთვის სოჭის ოლიმპიადა რუსეთის სიძლიერის, სპორტული დიდებისა და ხალხთა ერთიანობის სიმბოლოა და ბედნიერები ვართ, რომ ოლიმპიურ ესტაფეტას შევუერთდით, თანაც ჩვენს ასამბლეაში ბევრი სპორტსმენია, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონებიც. საქართველოს ხალხთა ასამბლეა გამოდის ინიციატივით, ოლიმპიურმა ცეცხლმა აფხაზეთის, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გაიაროს და მასში მონაწილეობა მიიღონ სპორტსმენებმა და ადგილობრივმა ინტელიგენციამ. ამ ნაბიჯით მთელ მსოფლიოს დავანახებდით ადამიანურ ღირსებებსა და დემოკრატიულ ღირებულებებს. ბოლოს და ბოლოს, დავასამარებდით ძმურ ერებში „გამარჯვებულისა და დამარცხებულის“ უსარგებლო რიტორიკას.

**— გაუმჯობესდა თუ არა ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში?**

— ეკონომიკური კეთილდღეობის სხვადასხვა საზომი არსებობს. ის შეიძლება ინვესტიციების შემოდინებით ან მშპ-ს ზრდით განისაზღვროს. საქართველოს შიდავალი წითელ ნიშნულს მიუახლოვდა. ინვესტორებს აშინებთ კოჰაბიტაციასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, მაგრამ სატრანზიტო დერეფნები მუშაობს და არ მოაქვს ცუდი შემოსავალი. თანადაფინანსების ფონდმა სწორი პრიორიტეტები აირჩია. „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო, მოეხნა მიწები, რომელსაც გლეხის ხელი ბოლო 20 წელია არ მიკარებია, ხალხს მისცა არა თევზი, არამედ ანკესი. დააფინანსა 200-მდე საწარმო, რომელიც უკვე იძლევა პროდუქციას, ქმნის სამუშაო ადგილებს და ა.შ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეიქმნა ინსტრუმენტები, რომელიც ეკონომიკის განვითარებაზე იმუშავებს. გაჩნდა იმედი, რომ „ქართული ოცნების“ დაპირებები რაღაც პერიოდში შესრულდება.

**— რა გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკასა და პოლიტიკაზე პრემიერის სამოქალაქო სექტორში გადასვლა?**

— ივანიშვილი ხელისუფლებაში მარტო იმისთვის არ მოსულა, რომ ქართველი ხალხი დიქტატურისგან გაეთავისუფლებინა, არამედ იმიტომაც, რომ დემოკრატიის მარცვალი გაეღვივებინა.

*დასასრული მე-10 გვერდზე*



## ელენე ხოშტარია: „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ, შესაძლოა, რუსეთი გააღიზიანოს!“

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) თანადამფუძნებლი ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ, შესაძლოა, რუსეთი გააღიზიანოს:

**„მესმის პრემიერის მცდელობა, რომ პოზიტიურ ჭრილში ვისაუბროთ რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით და ევროპულ არჩევანზე საუბრისას თავად არ გავამწვავოთ რუსეთის თემა. შესაბამისად, აბსოლუტურად ვეთანხმები პრემიერს, რომ ნეგატივზე არ უნდა ვისაუბროთ. უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთის ნეგატიური რეაქცია ჩვენს ევროპულ არჩევანთან დაკავშირებით, გამოწვეულია არა იმით, რომ ევროპა ან ნატო ცუდია, არამედ ღიზიანდება იმის გამო, რომ საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია ჩვენი სუვერენიტეტისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. რუსეთს კი სჭირდება არა დამოუკიდებელი საქართველო, არამედ მისი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფო, ამიტომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც რუსეთის მონობას გვაშორებს, მათთვის გამაღიზიანებელია. ჩვენი გადარჩენის ერთადერთი შანსი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*




## ახალგორში შესასვლელი გზა ჩაკეტილია

ადგილობრივების ინფორმაციით, გზა ოკუპანტებმა 25 ოქტომბერს, დილით ჩაკეტეს და ადამიანები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას აპირებდნენ, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას ვეღარ შეძლებენ. ახალგორის მოსახლეობა შესასვლელი გზის ჩაკეტვას სწორედ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს და აცხადებს, რომ აღნიშნული მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან წინასწარ ეჭვობდნენ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ეცდებოდა, ადგილობრივებისთვის არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა.

*„პირველი“*

## ქართველმა სამართალდამცავებმა დეპორტირებული ე.წ. კანონიერი ქურდები ქვეყანაში არ შემოუშვეს

გერმანიიდან საქართველოში ე.წ. კანონიერი ქურდი სულხან თავართქილაძე ჩამოიყვანეს, რომელიც ქურდულ სამყაროში „სუხო ზამაზას" მეტსახელითაა ცნობილი. გავრცელებული ინფორმაციით, ის პორტუგალიაში დააკავეს და 23 ოქტომბერს ლისაბონიდან იქნა დეპორტირებული. მიუნჰენის აეროპორტში თავართქილაძე სატრანზიტო ზონაში „დაიკარგა“, თუმცა გერმანიის პოლიციამ მისი დაკავება მოახერხა და უახლოესი რეისით თბილისში გამოამგზავრა.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სამართალდამცავებთან გასაუბრების შემდეგ თავართქილაძე თურქეთში გააძევეს. იმავე რეისით ქართველმა სამართალდამცავებმა რუსეთიდან 22 ოქტომბერს დეპორტირებული კიდევ ერთი ე.წ. კანონიერი ქურდი გელა ქარდავა გააძევეს. სულხან თავართქილაძე თბილისური კლანის წარმომადგენელია.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*




# „საქართველოს გასაოცარი ახალი ნორმალური მდგომარეობა“

მაიკლ ჩეჩირე
Foreign Policy

ბოლო პერიოდში პირველად ხდება ისე, რომ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები დიდ სახელებს არ უკავშირდება.

**„განსხვავებით შარშანდელი საპარლამენტო არჩევნებისგან, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ნაკლებად დამაინტრიგებელი, ნაკლებად სკანდალური, ნაკლებად მიმზიდველი და საინტერესო პიროვნებებისგან შედგება – სწორედ ამიტომაა ასე საინტერესო. გასული წლის არჩევნების შედეგად, საქართველოში უახლეს ისტორიაში პირველად მოხდა ძალაუფლების მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით გადაბარება. საპრეზიდენტო არჩევნებით კი ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს პოლიტიკური სიმწიფისა და დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ“,** — წერს მაიკლ ჩეჩირე და აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართული პოლიტიკა უფრო ხმაურიანი პოლიტიკური პერსონალიებით იყო გამორჩეული, ვიდრე მათი განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმებით. საქართველოს ულტრანაციონალურმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანა; იგი საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ შეცვალა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მისივე ძველმა მოკავშირე მიხეილ სააკაშვილმა ჩაანაცვლა.

**„სააკაშვილისა და მისი ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას ქვეყანა თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, თუმცა არა დემოკრატიულად. სააკაშვილის მმართველობა კიდევ ერთმა გავლენიანმა პერსონამ, მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალეს. მიუხედავად ამისა, 2014 წლის დასაწყისში, საქართველოს ეყოლება ტექნოკრატი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ძლიერი, კონკურენტული პარლამენტი. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ასეთი სცენარი, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი იქნებოდა“,** — აღნიშნავს მაიკლ ჩეჩირე და წერს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატები ანგარიშგასაწევები არიან, თუმცა არა ისე, როგორც მიჩვეულები იყვნენ. ბევრი გამარჯვებას „ქართული ოცნების“ კანდიდატს, გიორგი მარგველაშვილს უწინასწარმეტყველებს, თუმცა ბაქრაძე და ბურჯანაძე, სავარაუდოდ, შეძლებენ, გაუწიონ კონკურენცია გიორგი მარგველაშვილს. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, თანამდებობას ახალ წლამდე დატოვებს.

**„ქართულ პოლიტიკაში ყველაზე პოპულარულმა ადამიანმა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოსვლის მიზეზი კორექტივების შეტანა იყო. ივანიშვილის განცხადებით, თანამდებობიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებლობაა, დაეხმაროს ქვეყანას, გათავისუფლდეს პერსონებზე ორიენტირებული პოლიტიკისგან. ვიდრე ჯერ უცნობია, ვის შეარჩევს „ქართული ოცნება“ ივანიშვილის მემკვიდრედ, მომავალი პრემიერი, სავარაუდოდ, იმავე ჩამოსხმის იქნება, როგორიც პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილია: განათლებული და პატივცემული, მაგრამ პერსონალური ძალის გარეშე“,** — აცხადებს მაიკლ ჩეჩირე და დაასკვნის, რომ ქვეყანა ნამდვილ პროგრესს განიცდის დემოკრატიული განვითარებისა და კანონის უზენაესობის მხრივ. განსხვავებით ზოგიერთების მიერ გამოთქმული აღელვებისა, ბევრი დამკვირვებელი თანხმდება, რომ საქართველო სწორ გზას ადგას, თუმცა გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. **„საქართველოს ინსტიტუციონალური კონტროლი და ბალანსი კვლავაც საჭიროებს გაძლიერებას, დეცენტრალიზაციის ძირითადი რეფორმები კარგა ხნის მოძველებულია, იძულებით გადაადგილებული 300 ათასი ადამიანის მდგომარეობა კვლავ გაურკვეველია, მუშაობაა საჭირო ეკონომიკის წინსვლისთვისაც. იმავდროულად კი, სკეპტიკოსები აღნიშნავენ, რომ ივანიშვილი კვლავ დარჩება ქვეყნის პოლიტიკაში თავისი ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების წყალობით“,** — ნათქვამია Foreign Polic-ის სტატიაში, სადაც ქვეყნის სხვა გამოწვევებზეცაა საუბარი — მიუხედავად ქვეყნის ახალი ხელისუფლების სიფრთხილისა რუსეთის მიმართ, მოსკოვი კვლავ განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ისევე, როგორც ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების. ვიდრე საქართველო ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებას ცდილობს, რუსეთი საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის წნეხის ქვეშ მოქცევას ცდილობს, რათა უარი ათქმევინოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე.

**„მიუხედავად ამისა, საქართველო აგრძელებს წინსვლას. თუ გასული წლის არჩევნები ქვეყნისთვის დასავლური, დემოკრატიული მომავლის ტესტი იყო, წლევანდელი არჩევნები იმის დასტური იქნება, რომ ეს შემთხვევითი არ იყო“,** — აღნიშნავს მაიკლ ჩეჩირე და წერს, რომ ივანიშვილისა და სააკაშვილის სცენიდან წასვლის შემდეგაც კი, საქართველოში კვლავ გაგრძელდება პოლიტიკურ ლიდერთა მხარდამჭერი დაპირისპირება, მაგრამ ეს კონსოლიდირებული დემოკრატიისა და კულტურის გარემოში მოხდება: **„რა თქმა უნდა, ივანიშვილი ანგარიშგასაწევ ძალად დარჩება მისი პერსონალური და სიმდიდრის გავლენით; ასევე უცვლელი დარჩება სააკაშვილის პარტიის მიერ ეკონომიკაზე მეტ-ნაკლები გავლენა. გარკვეული დროით ივანიშვილი და სააკაშვილი დარჩებიან პოლიტიკურ ძალად, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ გავლენიანი პერსონების ეპოქას დიდი დარტყმა მიადგება მათი წასვლით“.**



## პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება რთულდება

პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება გართულებულ და გაჭიანურებულ პროცედურებთან იქნება დაკავშირებული. მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება ე.წ. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის საფუძველზე განხორციელდება ანუ მთავრობის მოქმედი შემადგენლობისთვის უნდობლობის გამოცხადებასთან ერთად, პარლამენტი ნდობას მთავრობის ახალ შემადგენლობას გამოუცხადებს. ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის მომენტიდან შედის ძალაში.

ცვლილებების თანახმად, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი პარლამენტის წევრთა 2/5-ის უმრავლესობით დაისმება. კენჭისყრა გაიმართება არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 25 დღისა. უნდობლობის გამოცხადების საკითხი აღძრულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაუჭერს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პარლამენტის იმავე წევრებს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის შესაძლებლობა, კენჭისყრიდან ექვსი თვის განმავლობაში აღარ ექნებათ.

უნდობლობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ პროცედურას, სულ მცირე, ორი თვე მაინც სჭირდება და პარლამენტს ძველი მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებასთან ერთად, ახლის შექმნა მოუწევს. კერძოდ, ახალი კონსტიტუციით, უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 25 დღისა, პარლამენტი კენჭს უყრის პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/5-ის მიერ დასახელებული პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის პრეზიდენტისთვის წარდგენას. თუ დასახელებულია პრემიერ-მინისტრის ორი კანდიდატურა, კენჭი ორივეს ეყრება. პრეზიდენტს პრემიერის კანდიდატურა წარედგინება, თუ მას მხარს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაუჭერს. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარუდგენლობა, უნდობლობის გამოცხადების პროცედურის შეწყვეტას ნიშნავს.

ახალი კონსტიტუციური კანონი ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მიმართ ვეტოს უფლების გამოყენების შესაძლებლობას. ვეტოს გადალახვა და მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება კი, სიითი შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობის მხარდაჭერას საჭიროებს. კერძოდ კი, პრეზიდენტი უფლებამოსილი ხდება, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენიდან ხუთი დღის ვადაში, წარდგენილი კანდიდატურა წამოაყენოს ან უარი განაცხადოს ამ კანდიდატურის წამოყენებაზე. თუ პრეზიდენტი პარლამენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას წამოაყენებს, მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება კონსტიტუციით დადგენილი წესით მოხდება.

იმ შემთხვევაში კი, თუ პრეზიდენტი პარლამენტის მიერ მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წამოყენებაზე უარს განაცხადებს, პარლამენტი კანდიდატურის წარდგენიდან არაუადრეს 15 და არა უგვიანეს 20 დღისა, კენჭს უყრის პრეზიდენტისთვის პრემიერ-მინისტრის იმავე კანდიდატურის წარდგენას. თუ წარდგენას პარლამენტის სიითი შემადგენლობის 3/5 დაუჭერს მხარს, პრეზიდენტი ვალდებულია, სამი დღის ვადაში მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წამოაყენოს. პარლამენტი ასეთ შემთხვევაში ნდობას მთავრობის ახალ შემადგენლობას უცხადებს, რაც მოქმედი მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებად ჩაითვლება და მისი უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს.

გარდა ამისა, ახალი საკონსტიტუციო ნორმების გათვალისწინებით, მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილი ხდება, სამი დღის ვადაში დაითხოვოს პარლამენტი და რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ოპოზიცია

# გოჩა ძასოხოვი: „საქართველოს ხალხთა ასამბლეა გამოდის ინიციატივით, ოლიმპიურმა ცეცხლმა საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გაიაროს!“

*მე-9 გვერდიდან*

როგორც ცნობილ ზღაპარშია, ვინც ციხე-სიმაგრეში შედიოდა და ტირანს ამარცხებდა, დრაკონი ხდებოდა, საქართველოში ადვილია, დიქტატორად იქცე. ივანიშვილის გადაწყვეტილება ბრძენი ადამიანის ნაბიჯია. ის ტოვებს პოლიტიკურ თანამდებობას, მაგრამ რჩება ხალხთან, გამოხატავს სურვილს, აშენოს სამოქალაქო საზოგადოება. იგი დარწმუნებულია, რომ ტოვებს იმ ჯგუფს, რომელსაც შეუძლია ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა. მას შეეძლება შეცდომებზე მითითება და მისი გამოსწორების გზების ჩვენება. სწორედ ეს გახლავთ დემოკრატია.

**— საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას ხშირად პრორუსულს უწოდებენ. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?**

— დიახ, ხელისუფლებას სურს დიალოგის აღდგენა რუსეთთან, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების გაძლიერება, ხვდება, რომ წინა ხელისუფლების ისტერიული რიტორიკა მიუღებელია, მაგრამ ახალი ხელისუფლების მთავარი შიდაპოლიტიკური ხაზი არ შეცვლილა ევროკავშირსა და ნატო-სთან მიმართებაში. ახალი ხელისუფლების პრორუსული მიმართულება სხვა არაფერია, თუ არა ძველი ხელისუფლების პიარაქცია ახლის წინააღმდეგ. აშშ-სა და მისი პარტნიორების მიერ საქართველო ყოველთვის განიხილებოდა რუსეთისთვის გამაღიზიანებლად, ჩრდილოეთ კავკასიაში ნეგატიური ძალაუფლების გასაძლიერებლად, მაგრამ ახლა ვითარება შეცვლილია. რუსეთი უკვე აღარ მიიჩნევა აშშ-ს მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ, ამერიკას თავისი პრობლემები ჰყოფნის. რუსეთმა გამძლეობაზე გამოცდა უკვე ჩააბარა, დაანახა მსოფლიოს, რომ აქვს მსოფლიო ლიდერის ამბიციები და მშვიდობისმყოფელი მოთამაშის თვისებები, რაც სირიის მაგალითმაც აჩვენა. საქართველოს ნატო-ში გაერთიანებას კი ათწლეულები დასჭირდება — თამასა უნდა აიწიოს ეკონომიკის, სამართლებრივი, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, გაჩნდება კითხვები საზღვრებთან დაკავშირებით. რეალურ ვითარებას თუ შევხედავთ, გვირაბის ბოლოს შუქი არ ჩანს. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებაც ასევე გრძელვადიანი პერსპექტივაა, რაც საქართველოს, რეალურად, არაფერს მისცემს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კუთხით.

**— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ნაცმოძრაობის რევანში?**

— „ქართული ოცნების“ გარდა, რომელიც ხელისუფლებაშია, ყველაზე ორგანიზებული პარტიული სისტემა ნაცმოძრაობას აქვს. თუ ნაციონალები ზამთარს გადაიტანენ და ხელისუფლებაც საკმაოდ სუსტი აღმოჩნდება, რევანშის შანსი აუცილებლად იქნება. ბევრი მოქალაქე დღეს ელოდება, რომ ნაცმოძრობა პასუხს აგებს ჩადენილი დანაშაულისთვის. ბუნებრივია, ახალი პრეზიდენტის წინაშე დადგება ეს საკითხი. ნაცმოძრაობას პარლამენტში თითქმის 40% აქვს და შეუძლია, რაღაც მნიშვნელოვანი საკითხის გატანას ხელი შეუშალოს. ყველა შესაძლო თუ შეუძლებელი საშუალებით, ისინი ეცდებიან, ახალი ხელისუფლების კომპრომეტირებას. პრეზიდენტსაც შეიძლება გამოუცხადონ უნდობლობა, ამიტომ საჭიროა, ქართველმა ხალხმა ახალი საკანონმდებლო ორგანო აირჩიოს.

# გოგი მარგველაშვილს კორუფციაში ამხელენ?!

ნათია აბაშიძე

**თეატრალურ უნივერსიტეტში სკანდალია — გათავისუფლებული პროფესორ-მასწავლებლები სასწავლებლის რექტორის მოვალეობის შემსრულებელ გიორგი მარგველაშვილს, პრაქტიკულად, კორუფციაში ამხელენ და, გარდა იმისა, რომ საჩივარი პროკურატურაშია შეტანილი, გამორიცხული არაა, იქ ფინანსური პოლიცია შევიდეს. „ვერსია“ დრამის ფაკულტეტის დეკანის ყოფილ მოადგილეს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, მარინა მიქაუტაძეს ესაუბრა.**




— უნივერსიტეტში ადმინისტრაციული მართვის მახინჯი წესები ყოფილმა პრორექტორმა, პროფესორმა ვასილ კიკნაძემ დაამკვიდრა... 1997 წელს, სტუდენტთა სიიდან, სამსახიობო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ამორიცხეს, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ გარიცხულ სტუდენტს დიპლომი გატანილი ჰქონდა და, როგორც სადიპლომო განყოფილების გამგემ დამიდასტურა, მისი გაცემა ვასილ კიკნაძემ უბრძანა, რაშიც გარკვეული თანხა აიღო. ეს ამბავი გამჟღავნდა, თუმცა კიკნაძემ, პასუხისმგებლობისთვის თავი რომ აერიდებინა, დოკუმენტაცია გააყალბა — გარიცხვების ბრძანების სიიდან გარიცხული სტუდენტის გვარი ამოიღო, თან მითხრა, კარგად დაიმახსოვრე, ამ ინსტიტუტში კანონი და მთავრობა მე ვარო. ამ დღიდან კიკნაძე მდევნიდა და უნდოდა, სამსახური დამეტოვებინა. 2006 წლის დეკემბერში, სამი დეკანი და სამი მოადგილე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გაგვათავისუფლეს. მოკლედ, ვასილ კიკნაძე პრორექტორი 38 წლის განმავლობაში გახლდათ, პრაქტიკულად, უნივერსიტეტის „რუხი კარდინალი“ იყო და აკადემიური თანამდებობის დაკავება სწორედ მისი ნება-სურვილით ხდებოდა, რაც პედაგოგებში აღშფოთებას იწვევდა. კიკნაძეს ინსტიტუტში გახსნილი ჰქონდა „უმაღლესი კურსები“, რომელიც თურმე, განათლების სამინისტროში რეგისტრირებული არ იყო და მისი კურსდამთავრებულები დღემდე ჩივიან...

**— ქალბატონო მარინა, გათავისუფლების შემდეგ, როგორც ვიცი, რექტორმა სასწავლი ცენტრის შექმნა დაგავალათ...**

— გიდასტურებთ, რექტორის ბრძანებით, სასწავლო ცენტრის შექმნა დამევალა... აკადემიურ საბჭოს მოკლევადიანი სასწავლო გეგმები, ასევე ბიზნესგეგმა და ხარჯთაღრიცხვა წარვუდგინე. ცენტრის მუშაობა კონკურენტუნარიანი რომ ყოფილიყო, აბიტურიენტთა საკონსულტაციო-მოსამზადებელი კურსებიც შევქმენი, რასაც დამატებითი შემოსავალი უნდა მოეტანა... მოულოდნელად, ჩემს თანამდებობაზე ვინმე გიორგი ფხაკაძე დანიშნეს, მე კი სასწავლო ცენტრის უფროს კოორდინატორად გადამიყვანეს.

**— თქვენსა და ფხაკაძეს შორის უთანხმოება რის ნიადაგზე დაიწყო?**

— ფხაკაძე თანხებს არამიზნობრივად ხარჯავდა. 2009 წლის აგვისტოს მონაცემებით, სასწავლო ცენტრის ანგარიშზე 12 900 ლარი ირიცხებოდა. ამ თანხის 30% ანუ 3 870 ლარი თითოეულ კოორდინატორს ხელფასზე დანამატის სახით უნდა მიგვეღო, თუმცა ფხაკაძემ ამ თანხის გაცემაზე უარი განაცხადა, რაც უნივერსიტეტის რექტორს, გოგი მარგველაშვილს წერილობით ვაცნობე. მან საკითხის გარკვევა უნივერსიტეტის ყოფილ მთავარ ბუღალტერს გივი ბასიაშვილს დაავალა, ამ უკანასკნელმა კი სახელფასო დანამატის ბრძანება რომ ვერ მოიძია, საორგანიზაციო სამსახურის უფროსს, ირინა თევდორაძეს წერილობით მიმართა, რომელსაც, თავის დროზე, ხელფასის ბრძანების პროექტი უნდა მოემზადებინა. მან მთავარ ბუღალტერს არ უპასუხა, გივი ბასიაშვილმა კი განმიმარტა, რომ საორგანიზაციო სამსახურში დამტკიცებული გეგმები აღარ დევს. ინფორმაცია გადავამოწმე და სანდო წყარომ მითხრა, ირინა თევდორაძემ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამები თვითნებურად გაანადგურა. მთავარ ბუღალტერს ამ დოკუმენტების ასლები წარვუდგინე, რომელმაც მითხრა, თევდორაძე სამსახურიდან გათავისუფლებას იმსახურებს, მაგრამ ეს რექტორის კომპეტენციააო. მთავარმა ბუღალტერმა გადმომცა რექტორისა და საორგანიზაციო სამსახურის უფროსისთვის მიწერილი ბარათები, სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის, გიორგი ფხაკაძის მოხსენებითი ბარათი, სადაც ნაჩვენები იყო, თუ როგორ განკარგა ფინანსები ფხაკაძემ, რომელსაც მთავარმა ბუღალტერმა „ხარჯთაღრიცხვის ნაბოდვარი“ უწოდა. ეს ხარჯებია: სახელფასო ფონდი — 5550 ლარი, კომუნალური ხარჯი — 810 ლარი, მუსიკალური ინსტრუმენტები — 950 ლარი, ორი როიალი — 1 400 ლარი, აპარატურის მოხმარების ცვეთა — 1050 ლარი, კომპიუტერი — 2000 ლარი, განათება — 500 ლარი. სხვათა შორის, სასწავლო ცენტრი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია და, შესაბამისად, კომუნალურ ხარჯებსაც ცალკე არ იხდის, აპარატურისა და სხვა სამეურნეო ატრიბუტების შესყიდვასაც უნივერსიტეტის სამეურნეო სამსახური ახდენს... მთავარ ბუღალტერთან საუბრით გავარკვიე, რომ უნივერსიტეტში ორმაგი ანუ შავი ბუღალტერია არსებობდა, რითიც გივი ბასიაშვილი გაოგნებული იყო.

**— შავ ბუღალტერიას მთავარი ბუღალტრის გარეშე, წესით, ვერავინ აწარმოებს...**

— ეს კითხვა მეც გამიჩნდა, რაზეც ბატონმა გივიმ ღიმილით მიპასუხა, არსებობს რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელიც უნივერსიტეტის ფინანსებს თავის ჭკუაზე განკარგავს, სწორედ ამიტომ შევქმენი საფინანსო დოკუმენტაციის აღმრიცხველი ცალკე საქაღალდეო. მთავარმა ბუღალტერმა ისიც მითხრა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, რექტორი საქმის კურსში არაერთხელ ჩააყენა, მაგრამ არაფერი შეიცვალა. მარგველაშვილს მეც მივაწოდე ინფორმაცია, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, რეაგირება არ მოახდინა. რადგან კუთვნილი ხელფასის ანაზღაურება მოვითხოვე, გიორგი ფხაკაძემ ჩემს მიერ შექმნილ სასწავლო ცენტრში ხელშეკრულება აღარ გამიფორმა... რექტორს არაერთხელ მივმართე, რომ ჩემი სამსახურებრივი რეაბილიტაცია მოეხდინა, მაგრამ ამაოდ...

2013 წლის 15 იანვარს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ოდიშარიას სახელზე განცხადება შევიტანე, რომელიც მანანა ბერიკაშვილმა ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის უფროსის, მარინა ქვარიანის სახელზე გადაამისამართა. მანანა ბერიკაშვილს დიდი ხანია ვიცნობ. მან იცოდა, რა საკითხებზე უნდა მესაუბრა ოდიშარიასთან და ამიტომაც „დამბლოკა“, თუმცა კულტურის მინისტრს მაინც შევხვდი... 2013 წლის 21 თებერვალს სამინისტროდან წერილი მივიღე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან თქვენი დათხოვნისა და სამუშაო ადგილზე აღდგენის საკითხის გადაწყვეტა სამინისტროს კომპეტენციას სცილდებაო. ნუთუ, სამინისტრო არ უნდა დაინტერესებულიყო, მისადმი დაქვემდებარებულ უნივერსიტეტში რა ხდებოდა? ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელმა, თემურ ლიპარტელიანმა აღნიშნული საქმე, ოქმის სახით, კულტურის სამინისტროს გადაუგზავნა, ჩვენ პასუხისმგებლობას არ ვიხსნით, საქმის მსვლელობას დავაკვირდებითო. კულტურის სამინისტრო თეატრალურ უნივერსიტეტში საფინანსო საქმეების შემოწმებას რომ მორჩება, დასკვნა საფინანსო საგამოძიებო სამსახურს უნდა წარუდგინოს...

**— უნივერსიტეტიდან გაშვებული თანამშრომლები, როგორც ვიცი, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გოგი მარგველაშვილის გათავისუფლებას და მის ადგილას პუბლიცისტ თაკო ჩარკვიანის დანიშვნას ითხოვთ, რომელიც რექტორის არჩევნებს მოამზადებს... ამასთან, საქმის კურსში პრემიერი ივანიშვილიც ჩააყენეთ?**

— დიახ, პრემიერის კანცელარიასაც მივმართე, რომელმაც ამ საქმის შესწავლა იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებს დაავალა... 5 აგვისტოს, კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ წერილობით შემატყობინა, რომ „30%-იანი სახელფასო დანამატის გაცემა სასწავლო ცენტრის კოორდინატორებისთვის სსიპ ,,საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“ შიდა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული არ ყოფილა, აღნიშნული საკითხი არ არის გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობების შესახებ ბრძანებაში და არც სხვა დოკუმენტია შედგენილი“. მეც სწორედ ამ კითხვას ვსვამ: იმ დღიდან, როცა აკადემიურმა საბჭომ სასწავლო ცენტრის გეგმები და დებულება დაამტკიცა, რატომ არ მოამზადა საორგანიზაციო სამსახურმა სახელფასო ბრძანების პროექტი? რადგან სახელფასო ბრძანების პროექტი არ არსებობდა, ჩვენი კუთვნილი ხელფასებიც მიითვისეს. სწორედ ესაა კორუფცია და გამოსაძიებელი, რაშიც მინისტრი ოდიშარიაც მეთანხმება. მარგველაშვილმა მითხრა, შემიძლია, აგინაზღაურო ის ხელფასი, რომელიც ვერ მიიღე, მაგრამ ვიდრე რექტორი ვარ, სამსახურში დაბრუნებას ვერ ეღირსებიო.

9 წელი გოგი მარგველაშვილმა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ჭაობში ამყოფა და ეს უნდა დამთავრდეს!

2012 წლის თებერვალში კულტურის იმჟამინდელმა მინისტრმა, ნიკა რურუამ მარგველაშვილი, გაყალბებული კონკურსების გამო, მოხსნა, მაგრამ მან მოახერხა და 2012 წლის ნოემბერში, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაბრუნდა. გარდამავალ პერიოდში პოზიტიური ცვლილებები აუცილებელია, ამიტომ საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის წევრები რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ვაყენებთ პუბლიცისტ თაკო ჩარკვიანის კანდიდატურას, რომელიც, განათლების კანონის მიხედვით, ყველა იმ საკითხს მოამზადებს, 3 თვის შემდეგ კი რექტორის არჩევნები ღიად და ობიექტურად ჩატარდება!

## ვერსიანიუსი

### პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეროვნული გმირის წოდება ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და საზოგადო მოღვაწეებს მიანიჭა



ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ასევე გენერალ მაზნიაშვილს, გრიგოლ ფერაძეს, ამბროსი ხელაიას, მიხაკო წერეთელსა და ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

ამის შესახებ მან სოფელ ალვანის ცენტრში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირის, გიორგი ანწუხელიძის მემორიალის გახსნის ცერემონიალზე განაცხადა: „**მათ ტიტულები არ სჭირდებოდათ. ესმოდათ, რომ კარგ საქმეს აკეთებდნენ, თუმცა მათაც სჭირდებოდათ მისაბაძი მაგალითები. მინდა, ყველა ქართველმა ისე იცხოვროს, რომ ერთხელ მაინც ცხოვრებაში, გადამწყვეტ მომენტში თქვათ**, „მე ვარ საქართველო!..“ მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობის იდეა არავის ახსოვდა, როდესაც ქართველების უმეტესობა კონფორმიზმით იყო დაბადებული, ზვიად გამსახურდია ეროვნული ჩირაღდნის მატარებელი იყო... ასევე ეროვნული გმირის წოდება მერაბ კოსტავასაც უნდა მიენიჭოს, რომელიც გამსახურდიასთან ერთად, იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართველი, რადგან რამდენიმე წელი უსაშინლეს წამებაში გაატარა და ერთი წამითაც კი არ შეტოკებულა, არ დათანხმებია არანაირ თანამშრომლობას მჩაგვრელებთან“.

***„პირველი“***

### მიხეილ სააკაშვილმა ბაბუს საქართველოს დროშა აჩუქა



საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აქციებზე, რომელიც ტარდება ყოველთვის, ერთი საყვარელი ბაბუ დადის: „ყველა აქციაზე, ტელევიზორში რასაც ვუყურებ, ერთი საყვარელი ბაბუ დადის, რომელსაც ასე ვიცნობ, რომ არის ბაბუ, რომელსაც დეპუტატებმა უთხრეს, მანქანით მიგიყვანთო და ცოცხალი თავით არ გაეკარა, სასახლის ზღურბლზე არ გადმოდგა ფეხი, ძლივს, როგორც იქნა, შემოვიყვანეთ სასახლეში. როგორც წესი, გარედან გვიცავს ხოლმე. თავიდან, პირველ თვეებში გვიცავდა ერთპიროვნულად მრავალრიცხოვანი მომხდურებისგან. ყველაზე სალი კომენტარი, რომელიც ვნახე შარშან, 1 ოქტომბერს, რუსთაველზე გაკეთებული, იყო მისი. ეს იყო ყველაზე ბრძნული, სალი და წინასწარმეტყველური. ერთი რამ, რაც შევამჩნიე, საქართველოს დროშა, რომლითაც ის დადის, შემოცვითა და გაუხუნდა, ამიტომ მინდა, ახალი დროშა ვაჩუქო“.

***„პირველი“***

# საქართველოში წამლის ხარისხის დადგენა შეუძლებელია!

დავით დევიძე
593-219-042

**საქართველოს მოსახლეობას უამრავი თავსატეხი აქვს, მაგრამ ამ პრობლემაზე ჩვენი მომავალია დამოკიდებული. საქმე ეხება მედიკამენტების ბაზარს, სადაც კატასტროფული ვითარებაა და უხარისხო, არაეფექტური წამლებითაა სავსე. საქართველოში კი არ არსებობს ამგვარი მედიკამენტების გამოვლენის მექანიზმი. მედიკამენტების ბაზარზე შექმნილ სავალალო ვითარებაზე „ვერსიას“ ექსპერტი თინა ტურძილაძე ესაუბრა.**



## ექსპერტ თინა ტურძილაძის ახალი ინიციატივა

— წამლის შეფასება სამი კრიტერიუმით ხდება: უსაფრთხოება, ეფექტურობა და ხარისხი. წამლის ხარისხი სამართლებრივი ცნებაა და მიუთითებს მის სტანდარტთან შესაბამისობაზე, მაგრამ არაა კავშირში მის ეფექტურობასთან. ეფექტურობა ლაბორატორიული კვლევებით ვერ დგინდება, ამიტომ მნიშვნელოვანია ცოდნა, რამდენად ექვივალენტურია ჩვენს ბაზარზე არსებული გენერიკები. გენერიკის არსი ასეთია: სანამ ინოვაციური წამალი ბაზარზე გამოვა, გადის სრულფასოვან 12-წლიან კვლევას, რაც მარკეტინგში მოხვედრის შემდეგაც გრძელდება. ასეთი წამლები გამოცდილი და გარანტირებულია, რის გამოც ძალიან ძვირი ჯდება — დაახლოებით, მილიარდ ორასი ათასი დოლარი. ამდენი ღირს თითოეული ახალი ფორმულის დამკვიდრება ბაზარზე. პატენტი ეძლევა მწარმოებელს, კიდევ 12 წლის შემდეგ კი, სხვებსაც ანიჭებენ იგივე წამლის წარმოების უფლებას. ასე შექმნილ წამლებს ეწოდება გენერიკები, რომლებიც უკვე აღარ გადის ყველა გამოკვლევას. ერთადერთი, რაც უნდა დაამტკიცონ, თერაპიული ექვივალენტობაა — ზუსტად ისე მოქმედებენ თუ არა, როგორც ორიგინალები.

**— ქართულ ბაზარზე გამოტანილი წამლები ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს?**

— ჩვენთან იყიდება გენერიკები, რომელთა ბიოექვივალენტურობა ორიგინალთან არაა დადგენილი. გლობალურ ბაზარზე წამყვანი პოზიციები უჭირავს აშშ-ს, კანადას, ევროპის ხუთ ქვეყანას, იაპონიასა და სამხრეთ კორეას. შემდეგ მოდის სწრაფადგანვითარებადი ბაზრები, სადაც შედის 17 სახელმწიფო, მათ შორის უკრაინა, თურქეთი და რუსეთი. ბოლოს არის დანარჩენი მსოფლიო, მათ შორის, საქართველო. ჩვენ არ გვაქვს რესურსი, დამოუკიდებლად გავუმკლავდეთ გლობალურ ბაზარს, რომელსაც დადებითი მხარეც აქვს, უარყოფითიც და ფარმაკოტერორიზმიც ახასიათებს.

**ევროპარლამენტმა საიტზე განათავსა დოკუმენტი, სადაც ადასტურებს, რომ მსოფლიოში ფარმაცევტული ბაზრის 10% ფალსიფიცირებულია (!). ფალსიფიცირებული მედიკამენტები კი, ცხადია, იყიდება იქ, სადაც არის ცუდი ადმინისტრირება. ფარმატერორიზმი ნიშნავს, რომ ტერორს გიწევენ ცუდი წამლით. საქართველოს კანონმდებლობით, აკრძალულია სტანდარტთან წვდომა ანუ შეუძლებელია, წამალი ორიგინალს შეადარო. წამლის კანონის მიხედვით, სტანდარტი კონფიდენციალურია, მონოპოლია ინფორმაციაზე აქვს მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს და გაგონებაც არ უნდა, რომ ბაზარზე შეიძლება იყოს არაბიოექვივალენტური წამალი მაშინ, როცა, როგორც ვთქვით, ევროპარლამენტი და რუსეთიც კი აღიარებს ამ ფაქტს და ებრძვის კიდეც.**

**— საქართველო რატომ არ აღიარებს ფალსიფიცირებული წამლების არსებობას?**

— მინისტრმა აღიარა, რომ არის ძალიან ბევრი პრობლემა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი — ფაქტია, უხარისხო წამლის იდენტიფიცირება არ მომხდარა ანუ მარეგულირებელმა ბაზარზე ვერ აღმოაჩინა ასეთი წამლები. პრობლემა ისაა, რომ ჩვენს ბაზარზე წამლებს შორის კონკურენცია არ არსებობს. საქართველოს ბაზარზე რამდენიმე ფარმაკომპანიაა. პროდუქტის ნაწილი ერთს შემოაქვს, ნაწილი — მეორეს, შემდეგ ერთმანეთში ცვლიან და ამიტომაცაა ბაზარი ერთფეროვანი.

**უნდა გადმოვიღოთ ცივილიზებული ბაზრის გამოცდილება — მაგალითად, JMP-ის ინსპექტორატი. სამწუხაროდ, არ გვაქვს ეს სტანდარტი, რომელიც ბევრი პრობლემის მოგვარების საშუალებას იძლევა. წინა ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, რომ 2016 წლიდან იგი სავალდებულო უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამი წელი ისე გავიდა, არავის არაფერი გაუკეთებია, დარჩენილი დრო კი არასაკმარისია JMP-ის სტანდარტის დასამკვიდრებლად.**

**— ამ სტანდარტის დანერგვა რას მოგვიტანს?**

— ბაზრის გაკონტროლების საშუალებას მოგვცემს... პარალელურად, ჩვენი ინსპექტორები სხვა ქვეყნებშიც გაივლიან პრაქტიკას და ჩვენთანაც იმუშავებენ უცხოელი ინსპექტორები. მეტიც, ჩვენთან რომ შემოვა ინდური წამლები, შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ ქარხნებშივე შემოწმდეს. მოკლედ, ეს ძალიან ეფექტური ინსტრუმენტია და ან არ იციან, ან შეგნებულად არ უნდათ ამის გაკეთება. მეჩვენება, რომ ჩვენთან მსოფლმხედველობის დეფიციტია, რაღაცას ვერ საზღვრავენ და არ იციან, რა გააკეთონ. არადა, არ არის საჭირო ახალი ველოსიპედის გამოგონება, შექმნილია სისტემა და საჭიროა მასთან ინტეგრირება. უძლიერესმა და ავტორიტეტულმა ფარმაცევტულმა ასოციაციებმა შექმნეს ეს წესები და მილიონობით ადამიანი გადაარჩინეს.

**— რომელი ქვეყნის მედიკამენტია მაღალხარისხიანი, ბევრი უკმაყოფილოა ინდური და ჩინური წამლებით?**

— ინდური და ჩინური სუბსტანციებით მარაგდება მსოფლიო, მაგრამ ისინი თავს იმით იცავენ, რომ აქვთ თავისი სტანდარტები და ამის შესაბამისად ხდება ხსენებული სუბსტანციების მიყვანა საჭირო ხარისხამდე. ჩვენს ქვეყანას კი ხარისხი არ აინტერესებს, ყველა კრიტიკული რგოლი გვაქვს გაშიშვლებული და დატოვებული რეგულაციის გარეშე, რაც უდიდეს საფრთხეს შეიცავს. სახელმწიფომ კანონის დონეზე მოიხსნა პასუხისმგებლობა და საზოგადოებას გადაულოცა: ფრთხილად და ყურადღებით იყავიო. კურიოზული ვითარებაა, ინფორმაციაზე მონოპოლია თავად აქვს და ჩვენ გვეუბნება, ფრთხილად იყავითო. გამოდის, ადამიანი განწირულია. იმის იმედად ყოფნა, რომ ფარმაკომპანია ცუდს არ გაგვიკეთებს, ილუზიაა, რადგან ბიზნესი ყიდის იმას, რაც ეყიდება...

ვფიქრობ, ყველაფერი ძალიან დაბალი კვალიფიკაციის ბრალია — არ არსებობს სისტემა, რომელიც შეაკავებს უხარისხო წამლის შემოსვლას ბაზარზე. შეგნებულად გაანადგურეს მარეგულირებელი და შედეგიც დადგა: სახელმწიფოს დღეს უკვე აღარ აქვს რესურსი, ეს შეცდომა გამოასწოროს, არადა, გამართული კონტროლის დროსაც კი, გლობალურ ბაზარზე, ყოველი მეათე წამალი ფალსიფიცირებულია და წარმოიდგინეთ, რა იქნება ჩვენთან, სადაც კონტროლი საერთოდ არ არსებობს. ყველა სახელმწიფოში, სადაც ჩვენამდე გადაიხედა კანონები და გამკაცრდა რეგულაციები, მიზეზი გახდა ის, რომ მასშტაბური ტრაგედია დატრიალდა. მაგალითად 10 ათასი უფეხო და უხელო ბავშვი დაიბადა მედიკამენტ „ტალიდომიდის“ მიღების შედეგად. წამალმა „ვიოქსმა“, რომელიც ამერიკამ არ დაუშვა, ევროპაში მკურნალობიდან 18 თვის შემდეგ 10%-ით გაზარდა ინფარქტისა და ინსულტის რაოდენობა — შედეგი იყო ჯანმრთელობის გაუარესების 140 ათასი და სიკვდილიანობის 60 ათასი შემთხვევა. ღმერთმა ნუ ქნას და, მაინცდამაინც, სერიოზულმა შემთხვევამ უნდა დაგვაფიქროს ცვლილებების აუცილებლობაზე? ჩვენ ისიც არ ვიცით, რამდენი კაცი რატომ კვდება. ვამბობთ, რომ ვიღაც უცებ გარდაიცვალა და იქნებ, რომელიმე წამლის ფონზე მოხდა ეს? ამიტომ მოვითხოვ ახალი რეგულაციების დანერგვას. ამას მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისათვისაც პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს.

# რატომ მიიჩნევს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**გაერო-ს ბავშვთა ფონდის დაკვეთითა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ჩატარებული კვლევის შედეგით, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს. ორგანიზატორები განმარტავენ, რომ მათი მიზანი მოსახლეობის განწყობისა და დამოკიდებულების კვლევა იყო და იმის გარკვევა, როგორ აღიქვამს საზოგადოება ძალადობას, რამდენად ტოლერანტულია მოძალადის მიმართ და როგორია იმის ალბათობა, რომ ადამიანები შესაბამის ორგანოებს ძალადობის ფაქტს შეატყობინებენ, თუ ასეთი მათთვის ცნობილი გახდა.**

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები. 2013 წლის მონობის მსოფლიო ინდექსში საქართველო 50-ე ადგილზე მოხვდა. ინფორმაციას ამის შესახებ მონობის წინააღმდეგ მებრძოლი ფონდი „იარე თავისუფლად“ ავრცელებს. ავსტრალიაში დაფუძნებული ფონდის მიერ შედგენილი ინდექსის თანახმად, საქართველოში 16 227 ადამიანია მონურ მდგომარეობაში, მსოფლიოს მასშტაბით კი, მათი რაოდენობა 29,8 მილიონია. ინდექსის შედგენისას ავტორებმა თანამედროვე მონობა რამდენიმე ფაქტორით განსაზღვრეს – ადამიანებით ვაჭრობა, არასრულწლოვნების იძულებითი ქორწინება, იძულებითი სამუშაო და ბავშვების გაყიდვა/ექსპლუატაცია.



2013 წლის მონობის მსოფლიო ინდექსში პირველ ხუთეულში მოხვდნენ: მავრიტანია, ჰაიტი, პაკისტანი, ინდოეთი და ნეპალი. ყველაზე მეტი თანამედროვე მონა, ქვეყნის მოსახლეობასთან შეფარდებით, ინდოეთში დაფიქსირდა, სადაც მათმა რაოდენობამ 13 956 010 ადამიანი შეადგინა; ყველაზე ნაკლები – მხოლოდ 22 მონა ჰყავთ ისლანდიაში, რომელსაც მოჰყვება ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია და შვეიცარია. „ვერსიასთან“ საუბრისას, კულტუროლოგი ლელა იაკობაშვილი აცხადებს, რომ ქართულ კულტურას სერიოზული პრობლემები აქვს, რაც განათლების დეფიციტითაა გამოწვეული: **„ვანდალიზმია ბავშვების მიმართ ასეთი დამოკიდებულება... მეტიც, მოზრდილებში საკმაოდ ჭარბად გამოხატული აგრესიული მუხტი, ძალადობის გამოძახილს ტოვებს გვიანდელ ასაკში. ერი თუ მხოლოდ ძალადობრივ ფორმებს არჩევს, ამას აღზრდასთან საერთო არაფერი აქვს. განათლება ერთადერთი საშუალებაა, რომ ამ ძალადობრივ მოჯადოებულ წრეს თავი დავაღწიოთ. თუ განათლების სისტემა მხოლოდ ცოდნაზე ავაგეთ და არა საზრისებსა და ღირებულებებზე, ერში დღემდე არსებული აგრესიული მუხტი არ მინელდება. სწორი გზით სიარულის შემთხვევაში, 10-15 წელიწადში შედეგი გვექნება“.**

არის თუ არა მზად ქართული განათლების სისტემა, ეს ფუნქცია იტვირთოს? — ლელა იაკობაშვილი ამბობს, რომ ამისთვის რეალური მზადყოფნა არ არსებობს, თანაც საკუთარი ღირსების მიმართ მგრძნობელობა აღარ გვაქვს და ხან რუსს ვემსგავსებით, ხან ევროპელსა და ამერიკელს: **„ჩვენ სწორედაც რომ საზრისული, ნამდვილი ღირებულებების დეფიციტი გვაქვს, რომლის მიმართ მთელ მსოფლიოში ადამიანები დგინდებიან... ჩვენი კულტურა სხვა რეჟიმში მეტყველებს, საკუთარი ღირსების მიმართ მგრძნობელობა აღარ გაქვს, ისეთი განცდაა, რომ ასეთი შეგრძნება დაკარგულია მასობრივ დონეზე, თორემ საპირისპირო პრეცედენტები ჯერ კიდევ რჩება, რაც საფუძველს გვაძლევს, ყველაფერი დავალაგოთ“.**

რაც შეეხება გამოსავალს, ლელა იაკობაშვილის თქმით, კულტურული გარემო უნდა შეიცვალოს, რადგან ცუდ რეჟიმში მოვხვდით: **„რეალურად, ერთმანეთს ვჭამთ და პრობლემებიც აქედანაა. მოძალადის შვილი როგორი უნდა გაიზარდოს, ის სხვას რას უზამს? დედას, ალბათ, ვეღარ დაუპირისპირდება, მაგრამ სამაგიეროდ, ცოლ-შვილზე იძალადებს და ა.შ. საგანგაშოა, რომ მოსახლეობის ნახევარი ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს. ძალადობრივი გარემოს შედეგები თვალნათლივ ვიხილეთ თუნდაც ბოლო წლების განმავლობაში. საზოგადოება ამ მარწუხებში მოექცა და თავის დაღწევას ლამობს. ურთულესი პრობლემატიკის გადაწყვეტას მარტო მთავრობის პოლიტიკა ვერ უშველის, მთელი საზოგადოების ძალისხმევაა აუცილებელი. ძალადობრივი კარმა უნდა შეწყდეს და ამაზე მუშაობა დღესვე უნდა დაიწყოს“.**



1. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი
2. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში
3. ფარნავაზიანთა დინასტიის უკანასკნელი მეფე
4. ყველაზე დიდი პირამიდის აშმენებელი ფარაონი
5. წარწერა საფლავის ქვაზე
6. საფრანგეთის ყოფილი ვალუტა
7. საყურე, რომელიც დამჭერით მაგრდება ყურზე
8. აღმოს. საქარ. გავრცელებული ხალხური თამაში
9. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე
10. შინაური ფრინველი
11. პეტრარკას მუზა
12. მოგზაური ნიკოლოზ მიკლუხო-...
13. რაიმე მოძღვრების ძირითადი დებულება
14. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
15. აბრეშუმის ან შალის მკვრივი ქსოვილი
16. შხამიანი გველი
17. რუსების საბრძოლო ყიჟინა
18. აბრეშუმის ჭიის საყვარელი ხე
19. ქანქარას უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან
20. არქიტექტურული სტილი დას. ევროპაში
21. იტალიური საავტომობილო კომპანია
22. მსახიობი ... გრანტი
23. ცხვრის ჯოგი
24. მოჭრილი და ტოტებგაცლილი ხე
25. ენტონი ქუინის კინოროლი
26. მადლობა - იაპონურ ენაზე
27. მუსიკალური გამის VII ნოტი
28. ქალის დაავადებათა შემსწავლელი მეცნიერება
29. განსაზღვრული წესით შედგენილი განრიგი
30. ოსირისის და და ცოლი
31. ქვეყნის ნაწილი
32. სიკვდილის ღმერთი ძვ. ეგვიპტეში
33. ფუჭი, უშედეგო
34. ფეხბურთის კარში გატანილი ბურთი
35. მსხლის ჯიში
36. უგონო მდგომარეობა
37. დუმილის კანონი მაფიაში
38. (ძვ.) საპერანგე აბრეშუმის ქსოვილი
39. მარკესის „მარტოობის ... წელიწადი"
40. ინგლ. მომღერალი ... უაინჰაუსი
41. კუნძულ კრეტას უმაღლესი მწვერვალი
42. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
43. აფროდიტეს სატრფო
44. ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთი მადონა
45. მტაცებელი ფრინველი
46. საფქვილე ყუთი წისქვილში
47. ფიგურული ფრჩხილი მუსიკაში
48. იტალ. საფეხბურთო მწვრთნელი ... საკი
49. გაპოლიტიკოსებული ლიბერიელი ფეხბურთელი
50. სიგიჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
51. საშობაო სიმღერა
52. კლდიანი ღრმა ხევი
53. თავსახურიანი ლითონის ჭურჭელი სითხეებისათვის
54. შხამიანი გომბეშო
55. ესპანეთში სიკვდილით დასჯა დახრჩობით
56. ბგერის გრაფიკული ნიშანი
57. იანიჩართა ხმალი
58. ფაფა - ბავშვის ენაზე
59. იტალ. დიზაინერი ჯანფრანკო ...
60. პალმის სახამებლისგან დამზადებული ბურღული
61. ბიბლიური მოსეს ძმა
62. გაეროს ყოფილი „შეფი" კოფი ...
63. ფარული დაცინვა
64. ხასიათი, ზნე
65. ჭაობის მცენარე
66. მუეძინის მოწოდება მინარეთიდან სალოცავად
67. „... მიდის მოხვეულში, ოდელია რანუნი"...
68. ნახევრად დამშრალი ზღვა
69. რემბრანდტის ერთ-ერთი შედევრი
70. იემენის დედაქალაქი
71. ჭურჭელი, რომელშიც ინახავენ გარდაცვლილის კრემაციის შედეგად დარჩენილ ფერფლს
72. სიყვარულის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა
73. გრძელი კარავი
74. თმის საშრობი მოწყობილობა
75. თმის მოწითალო-ყვითელი საღებავი
76. სიმინ-დის ხმელი ღერო და ფოთლები
77. ფერმწერ ტიციანის გვარი
78. ავსტრიის დედაქალაქი
79. ჰოლივუდის მსახიობი რიჩარდ ...
80. სოფელი ზუგდიდის რაიონში
81. იტალ. მწერალი უმბერტო ...
82. ვაშლის ღვინო
83. ზრდილობ. მიმართვის ფორმა მამაკაც. გერმანიაში
84. დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
85. სანელებელი მცენარე
86. იუდეას რომაელი პრეფექტი, რომელმაც ქრისტეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა
87. ცნობილი ბაღი თბილისში
88. ჰოლივუდის მსახიობი ... ნოლტი
89. თოვლის ჯიქი

## ყველაზე „სექსუალური" ქვეყნები



ინტერნეტ-პორტალი Misstravel.com ყოველწლიურად აქვეყნებს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც ყველაზე სექსუალური ადამიანები ცხოვრობენ. როგორც რეიტინგის ავტორები აცხადებენ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცხოვრობენ ლამაზი ქალები ან საკმაოდ სიმპათიური მამაკაცები, მაგრამ მხოლოდ მცირე რიცხვია იმ ქვეყნებისა, სადაც დახვეწილი პროპორციებისა და ლამაზი ნაკვთების მქონე ადამიანები მასობრივად გვხვდებიან. ამჯერად, პორტალმა გამოკითხვა ამერიკაში ჩაატარა, რადგან აშშ-ს მცხოვრებნი წელიწადში, სულ ცოტა, სამჯერ მაინც სტუმრობენ უცხო ქვეყნებს. ყველაზე სექსუალური მამაკაცების ქვეყნების წლევანდელი რეიტინგის ლიდერი დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა, მეორე ადგილი ირლანდიას ერგო, მესამეზე კი ბრაზილია გავიდა. ტოპ-ათეულში მოხვდნენ ასევე შვედეთი, აშშ, ესპანეთი, შოტლანდია, საფრანგეთი, საბერძნეთი და პუერტო-რიკო. იმ ქვეყნების ჩამონათვალი კი, სადაც ყველაზე მიმზიდველი ქალები ცხოვრობენ, ასე გამოიყურება: კოლუმბია, ბრაზილია, ამერიკა, ესპანეთი, რუსეთი, ჰოლანდია, საფრანგეთი, ბულგარეთი, შვედეთი და იტალია.



# ჰოროსკოპი
## 28 ოქტომბერი

**ვერძი** — მხოლოდ საკუთარი შრომისმოყვარეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის წყალობით მიაღწევთ წარმატებას. მართალია, ფინანსური პრობლემები იჩენს თავს, თუმცა მოულოდნელად შემოთავაზებული წინადადება თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

**კურო** — ვარსკვლავები არ გირჩევენ, ცხოვრებაში რაიმე შეცვალოთ, სამაგიეროდ, დაწყებული საქმე წარმატებით დაბოლოვდება. ეცადეთ ზედმეტად არ გადაიტვირთოთ და დრო დასვენებისთვისაც გამონახოთ.

**ტყუპები** — მეორე ნახევართან ურთიერთობაში დაძაბულობამ და გაუგებრობამ, შესაძლოა, ნერვები აგიშალოთ, მაგრამ ყველაფერი არც ისე საშინლადაა, როგორც გეჩვენებათ. პატარა გამათიც კი დღის ბოლოს თბილი გრძნობების მოზღვავების ახალ ტალღად იქცევა.

**კირჩხიბი** — დღეს ერთადერთი საკითხი იქნება აქტუალური — როგორ გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. თუ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ, ამ პრობლემას ადვილად მოაგვარებთ.

**ლომი** — ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჭიდილი გელით. მოგიწევთ საკუთარი სიმართლის დამტკიცება, ნებისყოფის გამოჩენა და მტკიცე არგუმენტების მოყვანა, სხვაგვარად შექმნილი მდგომარეობიდან გამარჯვებული ვერ გამოხვალთ.

**ქალწული** — საკმარისია ამდენი ფიქრი და ყოყმანი. დროა გარისკოთ და ცხოვრებაში რაღაც შეცვალოთ. სწორედ ერთფეროვნების გამო გექმნებათ პრობლემები, ამიტომ თამამად მიიღეთ გადაწყვეტილებები.

**სასწორი** — დეპრესიული ფონი იმატებს, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ საკუთარ თავში არ უნდა ჩაიკეტოთ — ამით უფრო გაართულებთ მდგომარეობას. მოინახულეთ ძველი მეგობრები და თავს განტვირთვის საშუალება მიეცით.

**ღრიანკალი** — საჩუქარი, რომელსაც ახლობელი ადამიანისგან მიიღებთ, დროებით დაგავიწყებთ პრობლემებს. სამსახურში არსებული დაძაბულობაც ნელ-ნელა განეიტრალდება და საკუთარ ცხოვრებაზე დაფიქრების საშუალებაც მოგეცემათ.

**მშვილდოსანი** — ეცადეთ, ნაკლებად კრიტიკული იყოთ გარშემომყოფების მიმართ. ასეთი დამოკიდებულება კარგს არაფერს მოგიტანთ, ამიტომ საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან თავი შეიკავეთ.

**თხის რქა** — ურიგო არ იქნება, განმარტოვდეთ და სამომავლო გეგმები კარგად გააანალიზოთ. მოულოდნელი შეხვედრა ძველ მეგობართან ძალიან გაგახარებთ და არც ისაა გამორიცხული, საქმიანი წინადადება მიიღოთ.

**მერწყული** — დღეს მოპოვებული ინფორმაცია თავდაყირა დააყენებს თქვენს ცხოვრებას. მთავარია განსაზღვროთ, რა შეიძლება მოყვეს მის გამჟღავნებას. იყავით თავშეკავებული და ვითარების შესაბამისად იმოქმედეთ.

**თევზები** — შექმნილი ვითარება სახარბიელო არ არის, მაგრამ მეგობრები სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებიან. ნუ იტყვით უარს მხარდაჭერასა და თანადგომაზე, თქვენ ეს ძალიან გჭირდებათ.





**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


# შაკიკს ახალი მეთოდით შეებრძოლებიან



ბრიტანელმა მეცნიერებმა ახალი აპარატი შექმნეს, რომელსაც შაკიკთან საბრძოლველად გამოიყენებენ. ამ სპეციალურ მოწყობილობას ადამიანს ქირურგიული გზით ცხვირში ჩაუდგამენ, მისი ჩართვა და გამორთვა კი სპეციალური დისტანციური პულტის მეშვეობით მოხდება. თავისტკივილის შეტევისას აპარატის საშუალებით ელექტრულ მუხტს გამოიწვევენ, ნერვულ დაბოლოებებს გაყინავენ და შედეგად, ტკივილს გააყუჩებენ. სტატისტიკის თანახმად, მარტო დიდ ბრიტანეთში ხუთ მილიონამდე ადამიანს აწუხებს შაკიკი და მისი გამომწვევი მიზეზი დღემდე დაუდგენელია; ცნობილია მხოლოდ ის, რომ თავისტკივილისას ორგანიზმში იკლებს სეროტონინის — „ბედნიერების“ ჰორმონის დონე, სისხლძარღვები ვიწროვდება და უარესდება მხედველობაც. სწავლულები მიიჩნევენ, რომ შაკიკის მკურნალობის ახალი მეთოდი ბევრ პაციენტს ტკივილს დაუამებს და აღარ დასჭირდებათ უამრავი აბის მიღება.

# სისხლის დონორები დიდხანს ცოცხლობენ



როგორც აღმოჩნდა, სისხლის ჩაბარება არა მხოლოდ საპატიო, არამედ სასარგებლოც ყოფილა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დონორები ხუთი წლით უფრო მეტხანს ცხოვრობენ, რადგან სისხლის ჩაბარების შემდეგ ინფარქტის, ინსულტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი უმცირდებათ. საქმე ისაა, რომ მავნე ნივთიერებები, რამაც შესაძლოა, ათეროსკლეროზი გამოიწვიოს, ვერ ასწრებს სისხლში დაგროვებას, თუკი ადამიანი რეგულარულად აბარებს სისხლს; გაირკვა ისიც, რომ დონორების ორგანიზმი გაცილებით სწრაფად ახალგაზრდავდება და გარდა ამისა, სისხლის ჩაბარებამდე მათ სრული გამოკვლევა უტარდებათ, რაც ნებისმიერი დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენისა და მკურნალობის საშუალებას იძლევა.



# ჰოროსკოპი
## 29 ოქტომბერი

**ვერძი** — დიდია ალბათობა, რომ უსიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდებით, მაგრამ ამის გამო განმარტოება ნამდვილად არაა საჭირო. მოინახულეთ ის ადამიანები, ვინც გენატრებათ და ნაკლებად დაიტვირთეთ მძიმე სამუშაოთი.

**კურო** — უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი აქტუალური ხდება. ეცადეთ, დაუფიქრებლად არც ერთი ნაბიჯი არ გადადგათ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ.

**ტყუპები** — ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, საიდანაც გამოსავალი პრაქტიკულად არ არსებობს, ამიტომ უსიამოვნო აზრებით ნუ დაიტვირთავთ თავს და მიყევით ცხოვრების დინებას.

**კირჩხიბი** — სამომავლო წარმატება მხოლოდ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებთ მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას და ვითარების კონტროლს. ნუ შეგაშინებთ რისკი — სხვაგვარად დასახულ მიზანს ვერ მიაღწევთ.

**ლომი** — კარგი იქნება, თუ პირად საკითხებს სხვა დროისთვის გადადებთ და მხოლოდ სამსახურებრივი საქმეების მოგვარებით დაკავდებით. ასე საყვარელ ადამიანთან მოსალოდნელ კონფლიქტსაც აიცილებთ თავიდან და სამსახურშიც არ შეიქმნით ზედმეტ პრობლემებს.

**ქალწული** — ვარსკვლავები გირჩევენ, თქვენს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს არ გამოაკლდეთ და ყველაფრის საქმის კურსში იყოთ. ეს დაგეხმარებათ, ადვილად გადალახოთ წინააღმდეგობები და დასახულ მიზანსაც მიაღწევთ.

**სასწორი** — გაითვალისწინეთ, რომ დღეს გადადგმული გაუაზრებელი ნაბიჯი და მცირე უზუსტობაც კი მომავლის გეგმებს ჩაგიშლით და ჩაფიქრებულის რეალიზებას ვერ მოახერხებთ. ნაკლებად უსმინეთ გარშემომყოფთა რჩევებს და მხოლოდ საკუთარ ინტუიციას ენდეთ.

**ღრიანკალი** — კონფლიქტი უფროსობასთან პიკს მიაღწევს. ეცადეთ, ნერვებმა არ გიმტყუნოთ — მხოლოდ ასე შეძლებთ გამარჯვებას. კარგად დაფიქრდით, რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს ყოველ ნაბიჯს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ ნებისმიერი გადაწყვეტილება.

**მშვილდოსანი** — ეცადეთ, მარტო არ დარჩეთ. ვარსკვლავები გირჩევენ, დრო აქტიურ დასვენებას დაუთმოთ და ყურადღება გამოიჩინოთ იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ეს ძალიან სჭირდება.

**თხის რქა** — შესაძლოა, საინტერესო წინადადება მიიღოთ საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შეცვლის თაობაზე. მართალია, ეს ყველაფერი ძალიან პერსპექტიული და მაცდურია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე დაფიქრდით და ახლობლების აზრიც გაითვალისწინეთ.

**მერწყული** — გრძნობები აგაფორიაქებთ, მოსვენებას არ მოგცემთ ეჭვები ახალ ნაცნობთან ურთიერთობის თაობაზე, მაგრამ ახლა არ არის პირადი ცხოვრების მოწყობის დრო, რადგან არსებული პრობლემები სწრაფ რეაგირებას მოითხოვს.

**თევზები** — დღე სიმშვიდესა და წონასწორობას გპირდებათ. შესაძლოა, ვითარების ბატონ-პატრონი გახდეთ. არ არის გამორიცხული ოჯახური უთანხმოება, რაც თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. არ არის რეკომენდებული ხანგრძლივი მოგზაურობა — დღე დასვენებას ან საყვარელ საქმიანობას მიუძღვენით.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | | | 9 | 6 | | | 2 |
| | | 3 | | 8 | | | | 4 |
| 8 | | | | | 5 | | | |
| | 5 | | | | | | 8 | |
| 4 | | 1 | | | | 3 | | 5 |
| | 7 | | | | | | 2 | |
| | | | 6 | | | | | 3 |
| 1 | | | | 3 | | 9 | | |
| 9 | | | 2 | 7 | | | 4 | 1 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | | 1 | | |
| | 5 | 1 | 8 | 7 | | | | 2 |
| 4 | | | | | 1 | | 5 | |
| | | | | 1 | | | 2 | |
| | | | 4 | 8 | 6 | | | |
| | 9 | | | 5 | | | | |
| | 1 | | 7 | | | | | 4 |
| 2 | | | | 9 | 5 | 3 | 6 | |
| | | 3 | | | | 7 | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 5 | | | | 8 |
| | 8 | 5 | | | | | 4 | |
| | 3 | | 9 | | | 5 | 7 | |
| | | 9 | | | 8 | 1 | | 4 |
| | | | | | | | | |
| 6 | | 4 | 5 | | | 3 | | |
| | 1 | 7 | | | 3 | | 9 | |
| | 9 | | | | | 2 | 3 | |
| 2 | | | | 7 | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| 6 | | | 1 | | | 8 | 3 | 9 |
| | 2 | 8 | | | 5 | | | |
| | 7 | 6 | | | 2 | 4 | | |
| 2 | 3 | | | | | | 8 | 7 |
| | | 4 | 7 | | | 3 | 2 | |
| | | | 3 | | | 6 | 7 | |
| 1 | 6 | 2 | | | 7 | | | 3 |
| | | | | | | | | |

# შვეიცარია უსაქმურების ქვეყანა ხდება?



მალე შვეიცარიაში „ძირითადი შემოსავლის უფლებაზე“ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, რომლის მიხედვითაც, ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე თვეში 2 500 შვეიცარულ ფრანკს (დაახლოებით 2 800 დოლარს) მიიღებს. რეფერენდუმის ინიციატორებმა საკითხის საჯაროდ განსახილველად დაახლოებით 126 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს, ამ მოვლენის აღსანიშნავად კი, ბერნიში, პარლამენტის შენობის წინ სატვირთო მანქანით 8 მილიონი 5-სანტიმიანი მიიტანეს (სიმბოლურად, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით) და ადგილობრივების გასახარად იქვე, მოედანზე დაყარეს. ზეიმის ბოლოს მონეტების ნაწილი შეაგროვეს, ნაწილი კი, რა თქმა უნდა, მოქალაქეების ჯიბეში „დაილექა“. თუკი რეფერენდუმზე ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, საკითხავი ის იქნება, გააგრძელებენ თუ არა ადგილობრივები მუშაობას — ყოველთვიურად ამხელა თანხას თუ მიიღებენ, ბევრს ხელის განძრევაც აღარ მოუნდება.

# ორი ქვეყნის საზღვარი ერთ ქალაქში გადის

ბელგიისა და ნიდერლანდების საზღვრის ერთი მონაკვეთი პატარა ქალაქ ბარლეზე გადის. სადემარკაციო ხაზი, რომელიც ამ ორ ქვეყანას ბარლეში მიჯნავს, დაუდგენელია და ამიტომაც საზღვარი ქვაფენილზე, თეთრი ხაზით, პირობითადაა დატანილი. ეს ხაზი მთელ ქალაქს მიჰყვება, ჰყოფს სახლებს, ოთახებს, სასტუმროებს, კაფეებს, ბაღებსა და ქუჩებს... მოსახლეობაც ხშირად ხუმრობს, რომ ბელგიიდან ჰოლანდიაში — სამზარეულოდან სასტუმრო ოთახის გავლით გადადიან და ასეთი კურიოზი უამრავია: თუკი ბელგიის მონაკვეთში მაღაზიები შაბათს მუშაობს, თეთრი ხაზის მეორე მხარეს, ანუ ნიდერლანდებში ყველა მათგანი დაკეტილია, განსხვავებულია ტაქსების მომსახურებაც, ყველაზე მეტად კი ადგილობრივები და ტურისტები რესტორნებში ხალისობენ — ჰოლანდიაში მყოფ სტუმრებს, შესაძლოა, სადილი საზღვარს მიღმა, ბელგიაში მოუწიოთ, რადგან ნიდერლანდების ტერიტორიაზე რესტორნები ადრე იკეტება.




# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 6 | 8 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 8 | 2 | 3 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 8 | 3 | 2 |
| 9 | 8 | 4 | 5 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 |
| 3 | 1 | 2 | 4 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 4 | 8 | 9 |
| 6 | 7 | 1 | 9 | 4 | 3 | 5 | 2 | 8 |
| 4 | 5 | 9 | 2 | 6 | 8 | 3 | 7 | 1 |
| 2 | 3 | 8 | 7 | 1 | 5 | 9 | 4 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 | 4 | 2 |
| 1 | 3 | 4 | 9 | 2 | 7 | 8 | 5 | 6 |
| 5 | 2 | 6 | 4 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 |
| 8 | 9 | 2 | 1 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 6 | 1 | 5 | 8 | 4 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 7 | 4 | 3 | 5 | 9 | 2 | 6 | 1 | 8 |
| 2 | 7 | 1 | 3 | 8 | 9 | 4 | 6 | 5 |
| 4 | 6 | 9 | 2 | 5 | 1 | 3 | 8 | 7 |
| 3 | 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 | 9 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 9 |
| 3 | 6 | 1 | 9 | 7 | 5 | 8 | 4 | 2 |
| 2 | 9 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 5 | 3 |
| 9 | 4 | 7 | 8 | 3 | 2 | 1 | 6 | 5 |
| 1 | 3 | 6 | 7 | 5 | 9 | 4 | 2 | 8 |
| 8 | 2 | 5 | 4 | 6 | 1 | 3 | 9 | 7 |
| 5 | 1 | 3 | 2 | 4 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 6 | 8 | 2 | 1 | 9 | 3 | 5 | 7 | 4 |
| 4 | 7 | 9 | 5 | 8 | 6 | 2 | 3 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 4 | 1 | 8 | 7 | 3 | 2 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 8 | 3 | 9 |
| 3 | 2 | 8 | 9 | 6 | 5 | 7 | 1 | 4 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 9 | 1 |
| 2 | 3 | 9 | 6 | 4 | 1 | 5 | 8 | 7 |
| 5 | 1 | 4 | 7 | 9 | 8 | 3 | 2 | 6 |
| 4 | 8 | 5 | 3 | 1 | 9 | 6 | 7 | 2 |
| 1 | 6 | 2 | 4 | 8 | 7 | 9 | 5 | 3 |
| 7 | 9 | 3 | 2 | 5 | 6 | 1 | 4 | 8 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 2 | 6 | 5 | 3 | 1 | 7 | 9 | 8 |
| 1 | 8 | 7 | 4 | 9 | 6 | 3 | 5 | 2 |
| 5 | 3 | 9 | 2 | 8 | 7 | 1 | 6 | 4 |
| 3 | 1 | 2 | 9 | 7 | 5 | 8 | 4 | 6 |
| 9 | 7 | 8 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 2 | 8 | 9 | 7 | 3 |
| 7 | 6 | 5 | 8 | 1 | 4 | 2 | 3 | 9 |
| 8 | 9 | 3 | 7 | 6 | 2 | 4 | 1 | 5 |
| 2 | 4 | 1 | 3 | 5 | 9 | 6 | 8 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 2 | 6 | 5 | 4 | 1 | 3 |
| 6 | 5 | 2 | 3 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 |
| 8 | 1 | 3 | 7 | 2 | 9 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 4 | 9 | 6 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 |
| 2 | 7 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 8 |
| 7 | 2 | 5 | 1 | 9 | 6 | 8 | 3 | 4 |
| 3 | 9 | 4 | 8 | 7 | 2 | 1 | 5 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 4 | 5 | 3 | 7 | 2 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 2 | 1 | 7 | 4 | 9 | 3 | 8 |
| 8 | 9 | 1 | 6 | 3 | 2 | 4 | 7 | 5 |
| 4 | 3 | 7 | 5 | 9 | 8 | 6 | 2 | 1 |
| 7 | 2 | 6 | 4 | 5 | 9 | 1 | 8 | 3 |
| 1 | 5 | 8 | 2 | 6 | 3 | 7 | 4 | 9 |
| 9 | 4 | 3 | 7 | 8 | 1 | 5 | 6 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 3 | 4 | 6 | 8 | 5 | 7 |
| 6 | 8 | 5 | 9 | 2 | 7 | 3 | 1 | 4 |
| 3 | 7 | 4 | 8 | 1 | 5 | 2 | 9 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 7 | 2 | 5 | 4 | 3 | 8 | 1 | 6 | 9 |
| 6 | 4 | 9 | 5 | 2 | 1 | 3 | 8 | 7 |
| 5 | 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 2 | 3 | 4 |
| 2 | 6 | 8 | 3 | 4 | 7 | 9 | 5 | 1 |
| 8 | 5 | 6 | 1 | 9 | 4 | 7 | 2 | 3 |
| 4 | 1 | 3 | 7 | 8 | 2 | 6 | 9 | 5 |
| 9 | 7 | 2 | 6 | 5 | 3 | 4 | 1 | 8 |

მე-13 გვერდი: 1. პეგასი; 2. ეტიკეტი; 3. ანგარია; 4. ომბალო; 5. მოლაღური; 6. აღსარება; 7. ვიაგრა; 8. ნარკომანი; 9. ბორნეო; 10. ალასკა; 11. აბაკელია; 12. ბზიკი; 13. ტაი; 14. ვაიო; 15. ზღარბი; 16. იმაგო; 17. ვარია; 18. ტაი; 19. ლეონიძე; 20. ნაგასაკი; 21. ამპერი; 22. არაბი; 23. რაგბი; 24. პაგოდა; 25. როიტერი; 26. ძელი; 27. იუსტინიანე; 28. აკაკი; 29. მაო; 30. ნაია; 31. რძე; 32. დიეზი; 33. ნეტო; 34. „ტარტიუფი“; 35. ილლია; 36. გალი; 37. ვენდეტა; 38. სან; 39. ანა; 40. ინია; 41. რუკა; 42. წუა; 43. რატი; 44. ვის; 45. ერისტიკა; 46. პაატა; 47. „მწირი“; 48. ხვალ; 49. ეპიტაფია; 50. ტოგა; 51. პიეტა; 52. პიუპიტრი; 53. პიტ; 54. ტუვა; 55. იამბიკო; 56. ობობა; 57. საუნა; 58. პერიგეა; 59. არგო; 60. ჰუსი; 61. იგრეკი; 62. რაიტი; 63. აია; 64. კარე; 65. გალანტერეა; 66. ბრამანტე; 67. ნამი; 68. ბიენალე; 69. ტასო; 70. ისა; 71. „ბაიერი“; 72. აცე; 73. ოშკი; 74. მარკ; 75. ფრიქსე; 76. ბარაკუდა; 77. საული; 78. მალა; 79. მაიკ; 80. მეკარე; 81. არიცია; 82. ჭრა; 83. ცია; 84. ლა.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.




GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).







